# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 6 თებერვალი 2003 №18 (1789) | ფასი 50 თეთრი




## დორტმუნდი თუ შალკე?

### ლევან კობიაშვილის არჩევანი და არადანი

მომავალ სეზონში პირველ ბუნდესლიგაში ერთი ქართველი რომ ითამაშებს, ამის თქმა ახლავე შეიძლება.

„დორტმუნდი", „შალკე", „შტუტგარტი", „მიუნხენ 1860", „ლევერკუზენი", უკრაინული „შახტარი" და რუსული ცესკა — აი, გუნდები, რომლებიც მეორე ბუნდესლიგაში ჩაქვეითებული „ფრაიბურგის" ქართველ კაპიტანს ლევან კობიაშვილს ნაირ-ნაირ სატრანსფერო ვარიანტებს სთავაზობდნენ. ჩამოთვლილთაგან ყველაზე რეალური „დორტმუნდი" და „შალკე" ჩანდა და ახლაც ასეა, თუმც ჩვენშიც და რუსეთშიც გავრცელდა ცნობა, ლევან კობიაშვილი გელზენკირხენის „შალკეს" გადასვლაზე დათანხმდა და კონტრაქტიც გაუფორმაო.

— ჯერ კიდევ „ფრაიბურგს" ვეკუთვნი და სხვა გუნდთან არანაირ კონტრაქტზე ხელი არ მომიწერია, სიტყვიერადაც არავის შევთანხმებივარ — გვითხრა ლევანმა წუხელ, როცა გერმანიაში დავუკავშირდით — არც რომელიმე გუნდთან გამიფორმებია წინასწარი კონტრაქტი.

**— ესე იგი, ჯერაც არ შეგიძლია იმის თქმა, მომავალი სეზონიდან რომელ გუნდში ითამაშებ?**

— მე ერთი ვიცი: ჩემი მომავალი კლუბი ან „დორტმუნდი" იქნება, ან „შალკე". ეს ნაღდია.

**— სხვა ვარიანტებს გამორიცხავ?**

— ეგრეა. ბუნდესლიგის სხვა გუნდებიც მეპატიჟებოდნენ და უკრაინა-რუსეთისაც, მაგრამ ვიცოდი, „შალკე" და „დორტმუნდი" სერიოზულად იყვნენ ჩემით დაინტერესებული და ყველას უარი ვუთხარი. ყველაზე მეტად ცესკა აქტიურობდა, ამ კლუბის უფროსობა მოსკოვში მელოდა კიდეც, მეც იძულებული გავხდი მათთვის ამეხსნა, რომ ჩემი გერმანული კონტრაქტი რეალობა იყო.

**— საით უფრო მიგიწევს გული, „შალკესკენ" თუ „დორტმუნდისკენ"?**

— არჩევანს ორ-სამ თვეში გავაკეთებ და ყველაფერი მაშინ გაირკვევა.

**კობა ინასარიძე**

## ტორპედო დინამოს და ლოკომოტივს ელის, ასათიანი — სამივეს

*ქუთაისის „ტორპედო" გუშინ ანთალიაში შეკრებაზე გაემგზავრა — უასათიანოდ.*

*თბილისის „დინამო" რამდენიმე დღეა ბოსნიაში, მეჩგორიეში ემზადება და ერთი საკონტროლო მატჩის გამართვაც მოასწრო — უასათიანოდ.*

*მოსკოვის „ლოკომოტივი" გუშინ იტალიურ დაბა ჩოკოში დაბანაკდა — უასათიანოდ.*

*ზემოჩამოთვლილი სამი გუნდიდან პირველს, მალხაზ ასათიანის ამჟამინდელ პატრონ „ტორპედოს" ფეხბურთელის სარფიანად გაყიდვა გადაუწყვეტია, მაგრამ ის კი ველარ გადაუწყვეტია, რომელს მიჰყიდოს — „დინამოს" თუ „ლოკომოტივს". ბუნებრივია, რომ ქუთაისელებმა ასათიანი იმ კლუბს უნდა დაუთმონ, რომელიც მასში მეტ ფულს გადაიხდის.*

*რადგან ამჟამად ასათიანი არც „დინამოშია" და არც „ლოკომოტივში", ქუთაისშია და მისი ბედის გამგებელთა სიტყვას ელის, უნდა ვივარაუდოთ, რომ „ტორპედოს" თავკაცები ჯერ კიდევ ერთმანეთს ადარებენ თბილისიდან და მოსკოვიდან შემოთვლილ რიცხვებს.*

*მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ამ საქმესაც ექნება ფინალი, ოღონდ, როგორი და როდის, ეს მხოლოდ ქუთაისური კლუბის პატრონებმა იციან.*



## აკოფიანი გასომხდა

### ქუთაისელები ერევნელებს ვახტანგურად შეუთანხმდნენ



*ფეხბურთი ის თამაშია, რომლის მიმდევრებიც მინდორზე მეტოქის კარს უმიზნებენ, მინდორს მიღმა კი უკეთეს კლუბებს.*

*გუშინ ერთი ახლომეზობლური ტრანსფერი გაიჩარხა — საქართველოს ჩემპიონ ქუთაისის „ტორპედოს" მოთამაშე ვახტანგ აკოფიანი სომხეთის ჩემპიონ ერევნის „პიუნიკში" გადავიდა.*

*ჩვეულებრივი ტრანსფერია, რომლის მსგავსიც ქართულ ფეხბურთში აქამდეც ბლომად გაჩარხულა და მომავალშიც ბევრი იქნება. უფრო საინტერესო სხვა რამ არის — 12 თებერვალს სომხეთის და ისრაელის ნაკრებები ამხანაგურად ხვდებიან და დიდი შანსია, იმ მატჩის მონაწილე ვახტანგ აკოფიანიც გახდეს.*

*ქართულ ფეხბურთში აქამდე ორი შემთხვევა გვახსოვს ჩვენი ფეხბურთელისგან სხვისი მოქალაქეობის მიღების და სხვის ნაკრებში თამაშისა. კახა გოგოლაძე თურქმენული ფეხბურთისთვის ირჯებოდა, ბადრი კვარაცხელია კი აზერბაიჯანულისა.*

*ვახტანგ აკოფიანისთვის სომხეთის მოქალაქეობის მიცემის საკითხი რამდენიმე დღეში გადაწყდება.*



დეპორტივო — მალიორკა. მასპინძელმა ალბერტ ლუკემ სტუმართა მეკარე ლეო ფრანკო უხერხულ მდგომარეობაში კი ჩააგდო, მაგრამ ვერაფერი დააკლო

## საფრანგეთი

**I დივიზიონი. XXVI ტური**

სედანი 1:2 ოსერი
ბასტია 1:0 პსჟ
ლანსი 3:3 ბორდო
მარსელი 2:0 ლე ავრი
მონაკო 2:1 სტრასბური
ნანტი 1:0 რენი
ტრუა 1:0 ნიცა
სოშო — აიაჩო გადაიდო
გენგამი — ლილი გადაიდო

**II დივიზიონი. XXV ტური**

ნანსი 1:0 კლერმონი
კაენი 0:0 გრენობლი
ლე მანი 1:0 ისტრი
ნიორი 1:1 ლორიანი
ვალანსი 0:1 ამიენი
ვასკეალი 0:0 მეცი
კრეტეი — გენიონი გადაიდო

## ინგლისი

**ასოციაციის თასი**
**IV ეტაპი. გადათამაშება**

მილუოლი 1:2დ.დ.(1:1) საუთჰემპტონი
სანდერლენდი 2:2დ.დ.(პენ.3:0, 2:2) ბლექბერნი
ლივერპული 0:2 კრ. პალასი

## გერმანია

**თასის მეოთხედფინალი**

ბოხუმი 3:3დ.დ.(პენ.3:4, 2:2) ლაუტერნი
უნტერჰახინგი 2:2დ.დ.(პენ.4:5, 2:2) ლევერკუზენი
მიუნხენი 1:4დ.დ.(1:1) ვერდერი

## იტალია

**თასის 1/2ფინალი. I მატჩი**

ლაციო 1:2 რომა

## ესპანეთი

**თასის 1/2ფინალი. I მატჩი**

დეპორტივო 2:3 მალიორკა

## პორტუგალია

**I ლიგა. გადადებული მატჩი**

სპორტინგი 1:0 აკადემიკა

## ჰოლანდია

**თასის მერვედფინალი**

დენ ჰააგი 0:3 პსვ ეინდჰოვენი
გრონინგენი 3:0 ჰაარლემი
ექსელსიორი 4:2 აიაქსი (II)
ფეიენოორდი 6:1 აპელდორნი
აიაქსი 1:0 როდა

## ბელგია

**თასის მეოთხედფინალი**
**საპასუხო მატჩები**

სტ. ტრუიდენი 1:0დ.დ.(პენ.4:3, 1:0) ანდერლეხტი (0:1)
ლუვიე 2:0 სტანდარდი (1:3)
ლომელი 2:0 ბრიუგე (2:3)
ბეერსხოტი 3:0 ანტვერპენი (1:2)

## საბერძნეთი

**თასის 1/4ფინალი. I მატჩები**

პანიონიოსი 1:1 აეკ
პანათინაიკოსი 0:1 ეგალეო



ლაციო — რომა. რომაულმა დერბიმ კინაღამ ტრიბუნებიც დაარბია






ვახტანგ ყოფიანი (მარჯვნივ) სომხეთის ნაკრებს ისრაელში გაჰყვება

ვახტანგ აკოფიანი ქუთაისის „ტორპედოდან" ერევნის „პიუნიკში" გადავიდა. წარმოშობით წალკელმა ფეხბურთელმა სომხეთის ჩემპიონთან ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

აკოფიანი მალე სომხეთის მოქალაქეც გახდება და იქაური ნაკრების მაისურასაც მოირგებს.

სომხეთის ეროვნულ ნაკრებს ამხანაგური მატჩი აქვს დაგეგმილი ისრაელში ებრაელებთან და ვახტანგ აკოფიანს შანსი აქვს, 27 წლისამ, პირველი სანაკრებო მატჩი ითამაშოს.

გავიხსენოთ, რომ აქამდე, საქართველოდან, ოდესღაც კახა გოგოლაძე გადაიხვეწა თურქმენეთში და იმ ქვეყნის მოქალაქეობას შესწვდა. ასევე იყო ბადრი კვარაცხელიაც, ვინც აზერბაიჯანის ქვეშევრდომობა მიიღო.

აკოფიანი, მეტსახელად „ტაისონა", ქუთაისის „ტორპედოში" გადასვლამდე გორის „დილას" ღირსებას იცავდა.

მისი დებიუტი 1992 წლის 11 აპრილს შედგა. მერე იყო „ქართლი", ისევ „დილა", „მესხეთი", „ცხინვალი" და ბოლო ოთხი სეზონი (1997-2001) კვლავაც გორის „დილაში" გაატარა. სწორედ იქიდან გადაბარგდა ქუთაისში, ახლა კი ზემოთაც ვთქვით ერევნის „პიუნიკისთვის" გაირჯება.

გუშინ აკოფიანს ერევანში შევეხმიანეთ

# ეს გნუმეშ

## ტორპედომ აკოფიანი სრულიად სომხეთს დაუთმო

— სომხეთის ნაკრების მწვრთნელი არგენტინელი ოსკარ ლოპესი იყო, როცა მან ყოფილ საბჭოთა კავშირში მოთამაშე სომხური გვარის მქონე ფეხბურთელების გასინჯვა ისურვა. ლოპესისით დაინტერესებულთა შორის მეც ვიყავი. ამ მოთამაშეებით შეკოწიწებული სომხეთის ნაკრები „შირაქს" გაეჯიბრა. ვერ გეტყვით, მწვრთნელის მოწონება დავიმსახურე თუ არა, მაგრამ ფაქტია, თბილი სიტყვებით გამომაცილეს და უახლოეს მომავალში შეგეხმიანებითო, მომაყოლეს.

**— მერე?**

— მერე ქუთაისის „ტორპედომ" ესენგეს თასზე ითამაშა და ტურნირის დამთავრების შემდეგ სომხეთიდან კონკრეტული წინადადება შემომთავაზეს.

**— ჩემპიონ „პიუნიკში" თამაში...**

— არა, ჯერ მითხრეს, რომ სურვილი გვაქვს სომხეთის ნაკრებში ითამაშო...

**— და დათანხმდი...**

— სომხებმა ნათქვამს ისიც დაამატეს, ნაკრებში იქნები, პარალელურად „პიუნიკშიც" უნდა ითამაშოო. წინააღმდეგი ვიყავი, ეგ არ იქნება-მეთქი და საქართველოში დავბრუნდი.

**— ახლა კი ფაქტია, „პიუნიკის" ფეხბურთელი ხარ და ნაკრებშიც გამოგიძახეს.**

— საქართველოში დაბრუნებულს გული მატკინეს. მე არ მსურდა სომხეთის ჩემპიონატში თამაში. ქუთაისის „ტორპედოში" კი მითხრეს, შენთვის აჯობებს „პიუნიკში" გადასვლაო. რა გზა მქონდა, ერევანში გულნატკენი წამოვედი. არადა, ვფიქრობ, უკეთესს ჩემპიონატში თამაშს შევძლებდი.

**— მაინც, რომელ ჩემპიონატში?**

— უკრაინის ან რუსეთის. იქ ბევრია ისეთი ფეხბურთელი, რომლებიც ჩემს გვერდით თამაშობდნენ და მათზე ნაკლები არ ვარ.

**— სომხეთის ნაკრებში თამაში გსურდა?**

— ამ წინადადებას დავთანხმდი. სომხურ პასპორტს ავიღებ და მორჩა, ნაკრებში ვითამაშებ.

**— ესე იგი, „პიუნიკს", სომხეთის ჩემპიონატს უარობდი?**

— კლუბებს შორის მოლაპარაკება მიმდინარეობდა, როცა საქართველოში ჩამოვედი და ერევანში დაბრუნებას არ ვაპირებდი. თუმცა, ხომ ვთქვი, მითხრეს, აჯობებს „პიუნიკში" გადახვიდეო. ისე, ხელი არ ჩამიქნევია, ვიქნები „პიუნიკში" და მერე საწადელს მაინც მივაღწევ.

**— სომხური ენა იცი?**

— ჩემი სომხური ამათ არ ესმით, საქართველოში წელიწადში ერთხელ სოფელში დავდიოდი და იქ თუ მიწევდა სომხურად ლაპარაკი. საქართველოში დაბადებულ-გაზრდილი, მართმადიდებელი ვარ, ჩემი სამშობლო საქართველოა. სომხეთში გაჩერებელიც არ ვარ. „პიუნიკთან" კონტრაქტი დამიმთავრდება და დავბრუნდები. აქ არ ვიცხოვრებ.

**— სომხეთის ნაკრებში როდის ითამაშებ?**

— ალბათ, 12 თებერვალს ისრაელში. ყველაფერი პასპორტზეა დამოკიდებული. ხვალ „პიუნიკი" ერევნიდან შეკრებაზე მიემგზავრება. რამდენიმე ფეხბურთელთან ერთად მეც ერევანში დამტოვეს. ზეგ სომხეთის ნაკრებს რომელიღაც აქაურ კლუბთან საწვრთნელი მატჩი აქვს დაგეგმილი და მგონი მეც ვითამაშებ.

**— სომხური პირობები ქუთაისურს სჯობს?**

— ნამდვილად სჯობს. სომხები რასაც დამპირდნენ, იმაზე მეტიც კი შემისრულეს.

**— და მაინც, სომხეთში წასვლას უკან გადადგმულ ნაბიჯად თვლი?**

— ეს ნაბიჯი გამართლებული მაშინ იქნება, თუ სომხეთის ნაკრებში კარგად და ხშირად ვითამაშებ.

**კობა ინასარიძე**

**კალათბურთი**

# ევროლიგა

**პირველი ჯგუფური ეტაპი. XIII ტური. 5 თებერვალი**

**A ჯგუფი**

პო ორტეზი 97:82 ალბა
სკიპერი 82:75 ბენეტონი
ბარსელონა 104:82 ციბონა

**B ჯგუფი**

უნიკახა 69:75 პანათინაიკოსი

**C ჯგუფი**

ცსკა 80:65 კინდერი
ულკერი 79:70 შლიონსკი

# დინამოს ბოსნიაში დაუზამთრდა

## კარლოსი ლოგინში ჩაწვა

**საქართველოს** ჩემპიონატის მეორე ეტაპისთვის ბოსნიურ მეჩგორიეში მოსამზადებლად მყოფ თბილისის „დინამოს" გუშინ მეორე საკონტროლო მატჩი მასპინძელ „შიროკი ბრიაგთან" უნდა გაემართა, მაგრამ უამინდობის გამო შეხვედრა ჩაიშალა.

„დინამოს" პრესსამსახურის უფროსის ლევან სალუქვაძის თქმით, რომელსაც გუშინ მეჩგორიეში დავუკავშირდით, მოედანი მთლიანად თოვლით იყო დაფარული. ოფიციალური მატჩის გამართვა შესაძლებელი კი იქნებოდა, თუმცა რა ძალა იყო მოსამზადებელი პერიოდისას გუნდებს ასეთ პირობებში ეთამაშათ.

„შიროკი ბრიაგთან" დაგეგმილი მატჩი, შესაძლოა, დღეს შედგეს, თუმცა ამ შემთხვევაში ხორვატულ „მეტალკაორიეკთან" შეხვედრა, რომელიც ხვალისთვის იყო დანიშნული, აღარ გაიმართება, ვინაიდან 8 თებერვალს „დინამოს" მეჩგორიეს საერთაშორისო ტურნირის ნახევარფინალური მატჩი ასევე ხორვატულ „ციბალიასთან" ელის.

გუშინ დილით კი „დინამომ" ტრენაჟორებზე ივარჯიშა, საღამოთი — დარბაზში. შეუძლოდ ყოფილა ბრაზილიელი კარლოსი, რომელსაც სიცხემ აუწია და საწოლშია.

**კობა ინასარიძე**

# ლუისი კმაყოფილია, ნაგებული ვილია



ლუის ცაკარიასი და რაფაელ გალიარდო

**„ლოკომოტივში"** გასინჯვაზე მყოფმა პორტუგალიელმა მარკო ლაგარტომ რკინიგზელთა მაისურით მეორე მატჩი ჩაატარა, მაგრამ ცაკარიასის გულის მოგება მაინც ვერ მოახერხა.

„არ ვიცი, რა სჭირს ლაგარტოს, პორტუგალიასა და გერმანიაში თამაშის გამოცდილება აქვს, მაგრამ აქ თითქმის არაფრით გამოირჩევა. მასთან განშორება მოგვიწევს" — ცაკარიასი თურმე უკმაყოფილო და გაკვირვებულია პორტუგალიელის პასიურობით.

პერუელს გუშინ უხასიათობას ვერავინ დასწამებდა. მისმა „ლოკომოტივმა" შვეიცარიული „ვილი" დაამარცხა, ლაგარტო კი პირველი ტაიმის შემდეგ ბურნაძემ შეცვალა.

სპარინგ-მატჩი ანთალიაში უნდა შემდგარიყო, თუმცა შვეიცარიელებს, რომლებიც სხვა ქალაქში დაბანაკებულან, ზედმეტი კილომეტრების გავლა უთაკილიათ და „ლოკომოტივი" იქეთ ეწვია მეტოქეს.

80-კილომეტრიანი მგზავრობის შემდეგ „ლოკომოტივმა" „ვილის" 3:1 მოუგო. ჩვენებურთაგან გოლები გალიარდოს, რუსიას და ბურნაძეს გაუტანიათ.

ცაკარიასს ნამატჩევს თავისი გუნდის დაცვა და ნახევარდაცვა შეუქია, ხოლო მეკარე გიორგი ლომაიას განსაკუთრებულად მოუწონა გარჯაო. ეროვნული ნაკრების მეკარეს რამდენიმე მკვდარი ბურთი აუღია.

გუშინ კი „ვილის" დამარცხებაში წილი ამათ დაიდეს: *ლომაია, ბალაშვილი, სალუქვაძე, ორბელაძე, რ. ონიანი, ქიჭვეიშვილი (ლაცაბიძე 46), კვარაცხელია, გალიარდო, სირაძე (რუსია 46), ლაგარტო (ბურნაძე 46), ნანა (კაიდარაშვილი 58).*

**მამუკა კვანტალიანი**

# იაგორაშვილი გორში გაჩერდა, დილა ცენტრალურზე

**გუშინ** გორის „დილამ" პირველლიგელი „მცხეთა" მეჯვრისხევში ისტუმრა და 3:2 დაამარცხა. გორელთაგან გოლები ხმალაძემ, ჯობაძემ და ბექა ჩიტაიამ გაიტანეს.

„დილა" დღეს და ხვალ მშობლიურ „ცენტრალურზე" ივარჯიშებს, ხოლო ზეგიდან შეკრება და ორჯერადი წვრთნა დაიწყება. ვლადიმერ ხაჩიძე გუნდს ქალაქიდან არ გაიყვანს, გორშივე, ადგილობრივ სასტუმროში გამოკეტავს ოცივე ფეხბურთელს, რომელთაც საჭმელს და სითბოს არ დაამადლიან.

გუნდის ახალწვეულად შეგვიძლია მივიჩნიოთ მეკარე გიორგი სომხიშვილი. მან გუშინდელ საკონტროლო მატჩშიც ითამაშა. ასევე გადაწყვეტილია ყოფილი დინამოელის, ვახტანგ იაგორაშვილის საკითხიც. კლუბის ხელმძღვანელები ნახევარმცველს პირობებზე უკვე მოურიგდნენ.

მოლაპარაკებები ჯერაც არ დასრულებულა კიდევ ერთ ყოფილ დინამოელთან, საშემოდგომო ეტაპზე ფოთის „კოლხეთში" მობურთალ გიორგი გაბიდაურთან, თუმცა შეთანხმებას ბევრი არაფერი აკლია.

სხვა ახალწვეული „დილაში" ჯერჯერობით არ არის, თუმცა გუშინ გორელთა ტექნიკურმა დირექტორმა ალექსანდრე მიხანაშვილმა გვითხრა, გუნდი თუ კიდევ გაძლიერდა, არ გაგიკვირდეთო.

**მამუკა კვანტალიანი**

*ლადო ბურდული ძალიან საინტერესო ფეხბურთელია, მაგრამ ბოლო დროს ისე ვერ ბრწყინავს, როგორც მისგან ველოდით.*

*ძალიან საინტერესოა ბურდულის თემაც — ეს ფეხბურთელი 17 წლის იყო, თბილისის „დინამოს" ძირითადში რომ მოხვდა და ძალიან კარგადაც წარმოაჩინა თავი. მას შემდეგ ბევრი რამ მოხდა და შეიცვალა, მაგრამ ახლა მთავარი სულ სხვაა — ბურდული საინტერესო ფეხბურთელიდან ევროპულ დონის მოთამაშედ თუ ჩამოყალიბდება.*

*ლადოსთან ინტერვიუ არაერთხელ დაბეჭდილა „სარბიელში", მაგრამ დღეს ის სულ სხვა კითხვებით „დავბომბეთ"*

# თავში არ ამვარდნია

## უკმაყოფილო ლადო ბურდული



## საიდუმლო იარაღი შუშაკის ხელში

**— ივო შუშაკი „დინამოში" შარშან მოვიდა და თქვა, ბურდული ერთ წელიწადში ევროპულ დონეზე ითამაშებსო. თვითონ როგორ შეაფასებდი შენს ამ ერთწლიან კარიერას?**

— რა გითხრათ, უკან-უკან ნამდვილად არ მივდივარ, ეროვნულ ნაკრებშიც ვითამაშე რამდენიმე მატჩი. მგონი, უკეთესად ავთამაშდი, ვიდრე უარესად.

**— ასეთ განმარტებას ბევრი არ ეთანხმება, თუმცა შენს მიმართ კრიტიკა საჯაროდ არც ერთ სპეციალისტს არ გამოუთქვამს. მაგრამ იმას წყალი არ გაუვა, რომ ბურდულისგან ყველანი გაცილებით მეტს ელოდნენ, რაც ამ ერთ წელიწადში ვერ დავინახეთ — მაინც, რამ შეგიშალა ხელი?**

— გულმოდგინედ ვვარჯიშობ და ყველანაირად ვცდილობ, უფრო მეტი გავაკეთო და ორმაგად ვარ მონდომებული. ვფიქრობ, წინა სეზონთან შედარებით მოვუმატე — ამის თქმის საფუძველს ნაყოფიერი საშუასეზონო შეკრება მაძლევს. მთავარი ალბათ, მაინც ისაა, რომ „დინამოს" მწვრთნელი ჩემით კმაყოფილია — ეს ფეხბურთელის, ასე ვთქვათ, ძირითადი მიზანია. ისე კი, მეც კარგად ვგრძნობ, რომ უფრო მეტი შემიძლია.

**— და ჯერჯერობით დიდი პროგრესი რომ არ გაქვს, ეს იმის ბრალია, რომ შუშაკმა ამპლუა შეგიცვალა? მარჯვენაფლანგელი იყავი და მწვრთნელმა ოდნავ ცენტრისკენ გადაგწია.**

— ბოლო საკონტროლო მატჩები ისეთ პოზიციაზე ვითამაშე, რომ ნამდვილად გაგიკვირდებათ — არც მარჯვნივ და არც ოდნავ ცენრისკენ — ახალი ამპლუა მაქვს. ერთი სიტყვით, როცა სეზონი განახლდება, თავად იხილავთ.

**— ესე იგი, სიურპრიზი გველის, რაც ჯერჯერობით საიდუმლოა?**

— ბოლო ამხანაგურები შემტევ ცენტრალურ ნახევარმცველად ვითამაშე. ჩემთვის ეს იმითაცაა სასარგებლო, რომ რაც უფრო მეტ პოზიციაზე ვითამაშებ, უკეთესი იქნება. თუმცა იმასაც ნუ გამორიცხავთ, რომ შუშაკმა ისევ მარჯვენა ფლანგზე გამამწესოს ან ოდნავ შუისკენ.

**— ბევრ სპეციალისტს, ფეხბურთელს, თანაგუნდელს და შენს ყოფილ მწვრთნელებსაც უთქვამთ, ლადო ბურდულისთვის იდეალური პოზიცია მარჯვენა ფლანგის კონტროლიაო — ბურდულის მთავარი კოზირი სისწრაფე და მანძილის გათვლის ხარჯზე მეტოქე მცველების გადალახვაა.**

— ჰოდა, საქმეც ისაა, რომ ეს ყველამ იცის და მათ შორის ჩვენმა მეტოქე გუნდებმაც. ამიტომაც ყველა ცდილობს ზონა მეთამაშოს. შუშაკმაც შემიცვალა პოზიცია — საწინააღმდეგო იარაღი საჭირო გახდა.

**— გარკვეული წარმატებები მართლაც გქონდა — ეროვნულ ნაკრებში და „დინამოს" საერთაშორისო მატჩებში რამდენჯერმე შთამბეჭდავად წარმოაჩინე თავი. ამან უარყოფითად ხომ არ იმოქმედა შენზე?**

— პირიქით, მინდა გულშემატკივარს დავანახო, რომ თავში არ ამვარდნია. რახან ჩემზე ასეთმა რამემ გაიჟღერა, აღარ მინდა, რომ ლადო ბურდულზე ასეთნაირად ილაპარაკონ. რა თავში ავარდნაზეა ლაპარაკი, როცა ორი სეზონი ჩემპიონობისთვის ვიბრძვით და ეს ჯერ ვერ შევძელით?!

**— ხშირად მომხდარა, რომ ნიჭიერ ფეხბურთელს არასათანადო ხასიათის გამო თავისი ნიჭის შესაფერი ფეხბურთი ვერ უთამაშია. ასეთი რამ შენც ხომ არ გემუქრება?**

— შუშაკი ისეთი კაცია, რომ საკუთარ თავს მოდუნების უფლებას ვერ მივცემ. თანაც გუნდში ისეთი კონკურენციაა, რომ ოდნავაც თუ მოეშვი, ძირითადში ადგილს დაკარგავ. როცა ლამე დასაძინებლად ვწვები, სულ ამაზე ვფიქრობ. მაგრამ იმასაც გეტყვით, რომ არ არსებობს ფეხბურთელი, ვინც სულ ერთ დონეზე ატარებს ყოველ ვარჯიშს. მეც ხანდახან არ ვარ იშტაზე და თავს ძალას ვატან, მაგრამ უმეტესწილად, ვარჯიშებზე მაქსიმუმს ვდებ.

**— როგორ ფიქრობ, ფეხბურთელს უკმაყოფილების გრძნობა ყოველთვის უნდა ჰქონდეს?**

— პირადად მე ყოველთვის მაქვს უკმაყოფილების შეგრძნება. თანაც ისეთი მამა მყავს, რომ არ არსებობს თამაშის შემდეგ რამე შენიშვნა არ მომცეს. ყოველი მატჩის შემდეგ მე და მამაჩემი ვსაუბრობთ-ხოლმე და ის სულ ნაკლოვანებებზე მიმითითებს. ალბათ, აქედან ჩამომიყალიბდა ყველაფერი ეს — საკუთარ თავს ყველაზე უფრო კრიტიკულად მე ვუყურებ.

**— ფლანგური ჩაწოდებების დახვეწაზე სპეციალურად და სერიოზულად ვარჯიშობ?**

— ვარჯიშის დამთავრების შემდეგ შუშაკი მე, არჩილ სახვაძესა და დავით კვირკველიას 15-20 წუთით გვტოვებს მოედანზე საამისოდ — შუშაკს ეგეთები არ ეშლება.

**— შუშაკმა ამას წინათ შენზე თქვა, ზუსტად ვერ გეტყვით, როდის მოუმატებს თამაშს, მაგრამ ნელ-ნელა და ნაბიჯ-ნაბიჯ ეს არ მოხდება, ბურდული უცბად უნდა აფეთქდესო. ეთანხმები მწვრთნელის ასეთ შეხედულებას?**

— მე ის მიხარია, რომ ამ კაცს ჩემი სჯერა და მენდობა — მე და შუშაკს ხშირად გვაქვს-ხოლმე პირისპირი საუბარი ჩემს შესახებ. იმას კი ნამდვილად ვერ გეტყვით, თუ როდის ავფეთქდები. არ მიყვარს თამაში საკუთარი თავის გამოსაჩენად. მთავარია, გუნდს გამოვადგე, თორემ სულ „მატაობა" რომ დავიწყო, უფრო მეტად გამოვჩნდები, მაგრამ... ჯობია, გუნდმა არ იზარალოს.

**— წლეულს 23 წლის ხდები და როგორ ფიქრობ, წინსვლისთვის საუკეთესო პერიოდი უკვე უკან ხომ არ გაქვს მოტოვებული?**

— არა, რადგან 23 წელი არც ისე ბევრია და თანაც 23 წლის ოქტომბერში ვხდები. ფეხბურთელი უფრო 24-25 წლის ასაკში ყალიბდება და თუ ჯანმრთელობამ არ შემიშალა ხელი, იმედი მაქვს, რომ სწორედ ამ ასაკისთვის მკვეთრად მოვუმატებ.

**— წინსვლისთვის უცხოეთში წასვლა გიჯობს თუ „დინამოში" დარჩენა?**

— ჯერ აქ უნდა ამოვწურო ყველაფერი და ჩემი სიტყვა ნაკრებშიც ვთქვა. „დინამოში" ყოფნით კმაყოფილი ვარ და უცხოეთში წასვლა ამ ეტაპზე სულაც არაა აუცილებელი — ძალიან გვინდა, რომ ჩემპიონები გავხდეთ, ჩემპიონთა ლიგაზე თამაშის იშტაზეც ვართ.

**— ნაკრების ბოლო მატჩი რუსეთის წინააღმდეგ მხოლოდ ერთი ტაიმი კი გამოდგა, მაგრამ ეს შენი საუკეთესო თამაში ალბათ, ნამდვილად არ იყო...**

— იმ მატჩში ფლანგის მოთამაშე ვიყავი და თუ ვინმემ წინ პასი არ მომცა და ბურთი მოედნის ცენტრში ვერ გავაგორეთ, შეტევაში როგორ წავიდოდი. რუსეთთან მთელ გუნდს გვიჭირდა, ასე ვთქვათ, ასვლა. იძულებულნი ვიყავით, დაცვითი ვარიანტით გვეთამაშა, მეტოქეს ძირითადად ჩვენს ნახევარზე ვხვდებოდით და შეგვეძლო ერთი კონტრშეტევით დაგვემთავრებინა ყველაფერი.

**დავით თავართქილაძე**



ლადო ბურდული (მარცხნივ) ბურთს აწი ცენტრიდანაც დააშრიალებს




# ქეცბაიას ყვავილობა

## ქინქლაძე ცხვარია, მაგრამ თუ გაცხარდა...

**ევროპულმა** ავდარმა რამდენიმე ჩვენებურს არ მისცა მოედანზე გასვლის საშუალება. ამ მხრივ თითქოს არაფერი ემუქრებოდა ხიზანიშვილ-ნემსაძის „დანდის". ქალაქში მზემ დილიდანვე გამოანათა და ამით გამხნევებული დანდელები მელგრად დაუხვდნენ სტუმარ „ჰიბერნიანს". მე-13 წუთზე ფაბიან კაბალიეროს გოლით იგებდნენ კიდეც, თუმც მერე ცამ ღრუბლები ბლუჯად შეყარა და რამდენიმე წუთში მატჩის გაგრძელება შეუძლებელი გახდა. ფეხბურთელებს დათოვლილ მოედანზე მოძრაობა უჭირდათ და მსაჯებმაც 27-ე წუთზე მატჩის შეწყვეტა ბრძანეს. ზურაბ ხიზანიშვილი და გიორგი ნემსაძე მწვრთნელმა ჩვეულად სასტარტო შემადგენლობაში ათამაშა...

არჩილ არველაძის „კიოლნი", გიორგი დეკანოსიძის „ფიურტი" და გელა შეყილაძის „რუზელარე" კი უამინდობის გამო საერთოდ არ გასულან მოედანზე სათამაშოდ.

სამაგიეროდ, დანარჩენმა ქართველებმა იყოჩაღეს და ამ უქმეებზე მხოლოდ ორი „ქართული" კლუბი დამარცხდა ევროპაში, რაზეც ქვემოთ მოგახსენებთ.

მანამდე კი კახა კალაძის „მილანის" გამარჯვებაზე ვთქვათ. კარლო ანჩელოტის შეგირდები ბევრს ეჯაჯგურენ „მოდენას" დაცვით ჯებირებს და პირველი ბზარი კახა კალაძემ გააჩინა. ჩვენებურს საჯარიმოში სტუმარი პონცო ეუხეშა და ანდრეა პირლომ თავისიანები პენალტით დააწინაურა. მალე ფილიპო ინძაგიმ თავით მეორე გოლი გაიტანა, რასაც ბოლო წუთზე „მოდენას" გასაქვითი მოჰყვა. სტუმრებს მატჩის გადარჩენაც შეეძლოთ, თუმც კარლო ანჩელოტის გუნდს ბედმა მოწყალე თვალით გადახედა.

საჭირო ქულა აართვა მეტოქეს „ფრაიბურგმა". სამი ქართველით მოთამაშე სტუმრებმა არაფერი დაუთმეს მეორეადგილოსან „აინტრახტს" — მე-80 წუთზე კულიბალმა წონასწორობა აღადგინა და მატჩიც ასევე დამთავრდა. გატანილი გოლიდან ორიოდ წუთში ფოლკერ ფინკემ ალექსანდრე იაშვილი დაასვენა და მის ნაცვლად მოედანზე ჩამშლელი სტილის ნახევარმცველი შეუშვა. კობიაშვილმა და ცქიტიშვილმა სრულად ითამაშეს.

თამაშის იმტაზე მოვიდა გიორგი ქინქლაძე. სეზონის ბოლომდე „დერბი ქაუნთს" შერჩენილი ჩვენებური ბოლო ტურებია, გუნდის ლიდერად იქცა. ჯონ გრეგორის შეგირდებმა დიდი ანგარიშით, 3:0 დაამარცხეს შინ „როტერჰემი". ქინქლაძემ მეტოქეს მე-16 წუთზე წაუხდინა ხასიათი. ინგლისელი ჟურნალისტების თქმით, გიორგი მთელი მატჩის განმავლობაში გამოირჩეოდა.



გიორგი ქინქლაძე

გუს ჰიდინკმა 76-ე წუთზე შეუშვა სათამაშოდ გოგა გახოკიძე, რომელმაც შანსი ხელიდან არ გაუშვა და სამ წუთში ულამაზესი გოლი გაუტანა „როზენდალს". პსვ-მ 3:0 დაამარცხა მეტოქე და პირველ ადგილზე კვლავ უდრტვინველად მოკალათებულა.

კვიპროსის ჩემპიონატში თემურ ქეცბაია „ბებრობს". „ანართოსისმა" სტუმრად ბოლო წუთზე გამოჰგლიჯა სამი ქულა ხელიდან „აპოლონს". გამარჯვების გოლი კი სწორედ თემურ ქეცბაიამ გაიტანა, რომელსაც ჟურნალისტებმა უმაღლესი, ათი ქულა დაუწერეს და, ცხადია, მატჩის საუკეთესო ფეხბურთელადაც აღიარეს.

ლევან მაღრაძის აელ-მა სეხნია ქებაძის „პარალიმნი" დაამარცხა 1:0. ერთადერთი გოლი სტუმრებმა მაღრაძის უზადო პასის შემდეგ გაიტანეს. „პარალიმნის" მატჩის გადარჩენა კი შეეძლო, მაგრამ ქებაძემ რამდენიმე რეალური შანსი გაანიავა. დამარცხდა გიორგი შენგელიას „მორფუც". რამდენიმე ტურია, ლიგენისელები მოგებას ვერ ახერხებენ და ახლაც „ოლიმპიაკოსთან" დაყარეს ფარ-ხმალი.



გიორგი ნემსაძე (ბურთით) მოედნიდან ნაადრევად თოვლმა გაიყვანა

**კახა შალამბერიძე**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | შ | მოდენა 2:1 | 90 | | 15 | 0 | 1 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | ს | აინტრახტი 1:1 | 82 | შეცვალეს | 11 | 0 | 3 |
| ლევან კობიაშვილი | ფრაიბურგი | ს | აინტრახტი 1:1 | 90 | | 19 | 7 | 3 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | ს | აინტრახტი 1:1 | 90 | | 18 | 1 | 3 |
| ზაზა ზამთარაძე | ფრაიბურგი | ს | აინტრახტი 1:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 3 |
| არჩილ არველაძე | კიოლნი | | გადაიდო | | | 0 | 0 | 1 |
| გიორგი დეკანოსიძე | ფიურტი | | გადაიდო | | | 1 | 0 | 6 |
| **ინგლისი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გიორგი ქინქლაძე | დერბი ქაუნთი | შ | როტერჰემი 3:0 | 90 | 1 გოლი | 15 | 2 | 14 |
| **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | შ | აბერდინი 2:1 | 0 | ტრავმირებულია | 17 | 10 | 1 |
| გიორგი ნემსაძე | დანდი | შ | ჩაიშალა | | | 13 | 0 | 7 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | დანდი | შ | ჩაიშალა | | | 6 | 0 | 7 |
| **შოტლანდია. ლიგის თასი. ნახევარფინალი** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | ს | ჰართსი 1:0 | 0 | სათადარიგო | 1 | 0 | |
| **ჰოლანდია. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გოგა გახოკიძე | პსვ | შ | როზენდალი 3:0 | 14 | შეცვლაზე ითამაშა, 1 გოლი | 6 | 1 | 1 |
| **ბელგია. მეორე დივიზიონი** | | | | | | | | |
| გელა შეყილაძე | რუზელარე | | გადაიდო | | | ? | 0 | 16 |
| **კვიპროსი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ანართოსისი | ს | აპოლონი 2:1 | 90 | 1 გოლი | ? | 3 | 3 |
| გიორგი შენგელია | მორფუ | ს | ოლიმპიაკოსი 0:1 | ? | | ? | 2 | 8 |
| ლევან მაღრაძე | აელ | ს | პარალიმნი 1:0 | 90 | საგოლე პასი | ? | 1 | 5 |
| მამუკა წერეთელი | ნეა სალამინა | შ | აპოელი 1:1 | ? | | ? | 0 | 11 |
| ლევან ქებაძე | პარალიმნი | შ | აელ 0:1 | 90 | | ? | 0 | 12 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

2004 წლის ევროპის ჩემპიონატის X შესარჩევი ჯგუფი

**ჩვენი მეტოქეები**

# ბრაიან კერიმ მამალს დაუძახა და კინის ქივილს ელის

### ირლანდია

**ირლანდიელმა** ქომაგებმა მიკ მაკარტის როი კინის დაბრუნება ჯერ კიდევ მაშინ მოსთხოვეს, როცა ნაკრები შემოდგომაზე ორჯერ ზედიზედ დამარცხდა. ცხადია, განვლილ მსოფლიოს ჩემპიონატზე მომხდარი გაწევ-გამოწევის შემდეგ მაკარტი კინს არც უხმობდა და რომც დაეძახა, ფეხბურთელი პასუხსაც არ აღირსებდა.

მიკ მაკარტი გადადგა და, როგორც ცნობილია, ნაკრები ახალ მწვრთნელს, ბრაიან კერის ჩააბარეს. მისი დანიშვნისთანავე როი კინის სახელი ხელახლა წამოტივტივდა. ამბობენ, კინსა და კერის შორისაც მთლად საამო ურთიერთობა არ უნდა იყოსო. მიუხედავად ამისა, ძველმა განდეგილმა და ახალმა მწვრთნელმა საერთო ენა გამონახეს. ისინი ერთმანეთს მანჩესტერში შეხვდებიან, დასხდებიან, ისაუბრებენ და გაარკვევენ, დაბრუნდება თუ არა კინი ნაკრებში. „როი კინი უდიდესი ფეხბურთელია — თქვა ბრაიან კერიმ — მას შეუძლია, ერთიორად გააძლიეროს გუნდი და დაგვეხმაროს ზედიზედ განცდილი ორი მარცხის შემდეგ, რათა ევრო 2004 საგზურისთვის ისევ ვიბრძოლოთ".

სამყურათა თავკაცმა არაორაზროვნად მიანიშნა, რომ მას კინისა ეიმედება. ახლა სიტყვა ფეხბურთელზეა. მომავალი ამხანაგური მატჩისთვის, რომელშიც ირლანდია შოტლანდიას გაეჯიბრება, მწვრთნელი როი კინს იმ შემთხვევაში გამოიძახებს, თუ მანამდე მანჩესტერში კინი კერის თამაშზე დაყაბულდება. ამასობაში „მანჩესტერ იუნაიტედის" ცხვირწითელა შოტლანდიელმა, ალექს ფერგიუსონმა, ფეხბურთელი დაარიგა: „იგი უკვე 31 წლისაა. ბოლო ტრავმამ ფეხბურთს ოთხი თვით ჩამოაშორა და ახლა თავს უნდა გაუფრთხილდეს. ასეთ ვითარებაში ლოგიკური ის იქნებოდა, თუ ნაკრებზე უარს იტყვის და კონცენტრირებას მთლიანად კლუბზე გადაიტანს. თუნდაც ალან შირერის მაგალითი ავიღოთ, ნაკრებს შეეშვა და „ნიუკასლში" ძველებურად ბრწყინავს. ეს ჩემი აზრია და ახლა თვითონ კინმა გადაწყვიტოს".

ბრაიან კერი კი დროს უქმად არ კარგავს. მან თანაშემწე მოძებნა — ლონდონის „ტოტენჰემის" ერთ-ერთი მწვრთნელი, ირლანდიის ნაკრების ყოფილი მცველი კრის ჰატონი. ჰატონი ერთდროულად ლონდონშიც იმუშავებს და ირლანდიასაც შეეშველება. „მე გლენ ჰოდლს ვესაუბრე და ისიც დამთანხმდა. ირლანდიის ნაკრებში მუშაობა ჩემთვის დიდი პატივია. თან ნაკრებში მიღებულ გამოცდილებას „ტოტენჰემსაც" გავუზიარებ" — თქვა ახალგამომცხვარმა თანაშემწემ.

**გაგა ხუციშვილი**



კრის ჰატონი



როი კინი

# საქართველო მეორე შვეიცარია კი არა, მეორე სლოვენია ყოფილა

### შვეიცარია

**2 აპრილს** ევროშესარჩევში ქართველთა მეტოქე შვეიცარიის ნაკრებია. ბუნებრივია, საქმეაწყობილმა ევროპელებმა სათებერვლო „ამხანაგური ფანჯარა" გამოიყენეს და სპარინგ-მატჩზე შეუთანხმდნენ სლოვენიელებს. შარშან გაზაფხულზე თბილისში ნასტუმრევი სამხრეთაფრიკელების არ იყოს, შვეიცარიელებმაც სლოვენიელებში დაინახეს ქართველებთან მსგავსება და ამიტომაც ისურვეს ნოვა გორიცაში მათთან გაჯიბრება.

სათორმეტთებერვლოდ იაკობ კუნი ტრავმების გამო ორ წამყვან ფეხბურთელს მოისაკლისებს — მცველი ლუდოვიკ მანინი და ნახევარმცველი სებასტიან ფურნიე თავისიანებს ვერ დაეხმარებიან.

იაკობ კუნმა კვლავაც უხმო ნაკრებში „გრასჰოპერის" მეკარე ფაბრის ბორერის, სხვამხრივ ცვლილება არ არის და ერთი შეხედვით საკვირველიცაა კუნი დებიუტანტების გამოცდას რომ არ ფიქრობს.

ნოვაგორიცაში კუნი ამ ცხრამეტ ფეხბურთელს ჩაიყვანს:

*მეკარეები:* *ფაბრის ბორერი (გრასჰოპერი), იორგ შტილი (მიონხენგლადბახი, გერმანია), პასკალ ცუბერბიულერი (ბაზელი)*

*მცველები:* *ბერნტ ჰაასი, მურატ იაკინი (ბაზელი), სტეფან ანშო (ლივერპული, ინგლისი), სტეფან კლეერი (ციურიხი), რემო მეიერი (მიუნხენ 1860, გერმანია), პატრიკ მიულერი (ლიონი, საფრანგეთი), ბრუნო ბერნერი (ფრაიბურგი, გერმანია)*

*ნახევარმცველები:* *რიკარდო კაბანასი (გრასჰოპერი), ფაბიო სელესტინი (მარსელი, საფრანგეთი), იოჰან ფოგელი (პსვ, ჰოლანდია), რაფაელ ვიკი (ჰამბურგი, გერმანია), მარიო კანტალუპი, ჰაკან იაკინი (ბაზელი)*

*თავდამსხმელები:* *სტეფან შაპუიზა (იანგ ბოიზი), ალექსანდრ ფრეი (რენი, საფრანგეთი), ლეონარდ ტური (სერვეტი)*

**ნინო ძადაგიშვილი**



იაკობ კუნი

# ერთი განსხვავება: რუუდ ვან ნისტელროი

## ინგლისი

### პრემიერლიგა გადადებული მატჩი

**ბირმინგემი 0:1 მანჩესტერი**

0:1 ვან ნისტელროი (56)
ბირმინგემი: ვესენი, კენა (დევლინი 84), კანინგემი, აპსონი, კლეპამი, დ. ჯონსონი, სევიჯი, კლემენსი, ჯონი (ლაზარიდისი 62), დიუგარი, მორისონი (კიროვსკი 78)
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
მანჩესტერი: კეროლი, გ. ნევილი, რ. ფერდინანდი, უესლი ბრაუნი, სილვესტრი, ბექემი, როი კინი, ვერონი, გიგზი, სქოულზი, ვან ნისტელროი (სოლსკიაერი 82)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: კლემენსი, კინი
მსაჯი: დანი
29 475 მაყურებელი

„მანჩესტერ იუნაიტედმა" ზედიზედ მეექვსედ მოიგო და ამჯერად ბირმინგემში, იქაურ „სიტისთან". თამაშის ერთ-ერთი გოლი სამ მცველს შორის მოქცეულმა რუუდ ვან ნისტელროიმ გაიტანა შეხვედრის 56-ე წუთზე.

ეს იყო ერთი კვირის წინათ გამოტოვებული მატჩი და ბირმინგემელებმა შეძლებისდაგვარად მძლავრი დახვედრა მოუწყვეს „მანჩესტერს" „სენტ ენდრიუსის" მინდორზე. მანჩესტერელთა ყოფილი კაპიტანი, აწ ბირმინგემელთა მენეჯერი სტივ ბრიუსი დიდ ხიფათს გრძნობს, რადგან მისი გუნდი მაჩანჩალათა შორიახლოს ტრიალებს და შაბათს უშუალო მოქიშპესთან, „ბოლტონთან" წააგო.

„მანჩესტერთან" თამაში კი იმგვარი გამოვიდა, რომ მარცხის მიუხედავად, მასპინძლებს შესარცხვენი არაფერი ჰქონდათ. გოლი კრისტოფ დიუგარის უნდა შეეგდო, მაგრამ კარში ხუან ვერონი აღმოჩნდა. სტუმართაგან პოლ სქოულზს შეეძლო გატანა.

თამაშის შემდეგ სერ ალექს ფერგიუსონმა დიდსულოვნად შენიშნა, დღეს, ორ გუნდს შორის განსხვავება მხოლოდ რუუდ ვან ნისტელროი იყოო. ამ მოგებით „მანჩესტერმა" სამ ქულამდე შეამცირა სხვაობა ლიდერ „არსენალთან".

„მომდევნო ტური საინტერესო იქნება — თქვა ფერგიმ — „მეთოფეები" ნიუკასლში მოვახერხეთ, შობამდე იმდენი ვქენით, რომ სხვაობა ერთ ქულამდე შევამცირეთ. მერე ორი ქულა დავკარგეთ. ამ უქმეებზე ამ სხვაობის ამოვსებას შევეცდებით".

**ირაკლი გამყრელიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 26 | 17 | 5 | 4 | 56:28 | 56 |
| მანჩესტერი | 26 | 16 | 5 | 5 | 43:24 | 53 |
| ნიუკასლი | 25 | 15 | 3 | 7 | 41:31 | 48 |
| ჩელსი | 26 | 12 | 9 | 5 | 45:26 | 45 |
| ევერტონი | 26 | 13 | 6 | 7 | 34:30 | 45 |
| ლივერპული | 26 | 11 | 9 | 6 | 37:25 | 42 |
| საუთჰემპტონი | 26 | 10 | 9 | 7 | 28:25 | 39 |
| ჩარლტონი | 26 | 11 | 6 | 9 | 34:33 | 39 |
| ტოტენჰემი | 26 | 11 | 6 | 9 | 36:36 | 39 |
| სიტი | 26 | 11 | 4 | 11 | 37:37 | 37 |
| ასტონ ვილა | 26 | 10 | 5 | 11 | 30:27 | 35 |
| ბლექბერნი | 26 | 8 | 10 | 8 | 31:31 | 34 |
| ლიდსი | 26 | 9 | 4 | 13 | 33:34 | 31 |
| მიდლსბრო | 25 | 8 | 6 | 11 | 29:29 | 30 |
| ფულემი | 25 | 7 | 6 | 12 | 26:33 | 27 |
| ბირმინგემი | 26 | 6 | 8 | 12 | 22:36 | 26 |
| ბოლტონი | 26 | 5 | 9 | 12 | 28:43 | 24 |
| ვესტ ბრომვიჩი | 25 | 5 | 5 | 15 | 19:37 | 20 |
| ვესტ ჰემი | 26 | 4 | 8 | 14 | 28:51 | 20 |
| სანდერლენდი | 26 | 4 | 7 | 15 | 17:38 | 19 |

### I დივიზიონი გადადებული მატჩი

**ბრაიტონი 2:3 უიმბლდონი**

1:0 ბროკერი (3), 1:1 კონოლი (39), 1:2 ვოლცი (48), 1:3 კონოლი (79), 2:3 ზამორა (86)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტსმუთი | 31 | 18 | 10 | 3 | 59:30 | 64 |
| ლესტერი | 31 | 18 | 7 | 6 | 48:30 | 61 |
| შეფილდი | 29 | 16 | 7 | 6 | 43:27 | 55 |
| ნოტინგემი | 31 | 13 | 9 | 9 | 47:33 | 48 |
| ქოვენთრი | 31 | 12 | 10 | 9 | 38:33 | 46 |
| რედინგი | 30 | 14 | 4 | 12 | 34:31 | 46 |
| უოტფორდი | 31 | 13 | 7 | 11 | 36:45 | 46 |
| ვულვზი | 30 | 12 | 9 | 9 | 50:32 | 45 |
| ნორვიჩი | 30 | 12 | 9 | 9 | 41:29 | 45 |
| იფსვიჩი | 30 | 12 | 8 | 10 | 46:37 | 44 |
| როტერჰემი | 31 | 12 | 8 | 11 | 50:42 | 44 |
| მილუოლი | 31 | 12 | 8 | 11 | 40:45 | 44 |
| კრ. პალასი | 30 | 10 | 13 | 7 | 43:32 | 43 |
| დერბი | 31 | 12 | 5 | 14 | 39:42 | 41 |
| ბარნლი | 30 | 11 | 8 | 11 | 45:55 | 41 |
| ჯილინგემი | 29 | 10 | 10 | 9 | 38:41 | 40 |
| უიმბლდონი | 30 | 10 | 9 | 11 | 48:48 | 39 |
| ბრედფორდი | 30 | 10 | 7 | 13 | 39:51 | 37 |
| პრესტონი | 31 | 8 | 11 | 12 | 45:51 | 35 |
| უოლსოლი | 31 | 9 | 6 | 16 | 41:47 | 33 |
| გრიმსბი | 31 | 7 | 7 | 17 | 37:60 | 28 |
| უენსდი | 31 | 6 | 8 | 17 | 29:52 | 26 |
| სტოკი | 31 | 5 | 10 | 16 | 36:58 | 25 |
| ბრაიტონი | 31 | 5 | 8 | 18 | 29:50 | 23 |



REUTERS

რუუდ ვან ნისტელროი სერ ალექსმა აქო და ადიდა






ლიდსელმა ქომაგებმა პიტერ რიდსდეილს პლაკატი აუფრიალეს, პრეზიდენტი კი „ჯილინგემის" დამარცხებას ასე შეხვდა

# ვაჭრუკანა პრეზიდენტი ახლა დალევაც შეიძლება

### ასოციაციის თასი IV ეტაპი. გადათამაშება

**ლიდსი 2:1 ჯილინგემი**

1:0 ვიდუკა (11), 2:0 ბაკე (58), 2:1 იპუა (86)

ამბობენ, რომ „ლიდსის" თავმჯდომარე პიტერ რიდსდეილს ისე გაეხარდა მისი გუნდისგან პატარა „ჯილინგემის" ძლევა, რომ სასმელიც კი გადაჰკრა გამარჯვების სადღეგრძელოდ.

ამის მიუხედავად, მის ოპტიმიზმს სულაც არ იზიარებენ ლიდსელი გულშემატკივრები, რომლებსაც მეორე თამაშიც რიდსდეილის სალანძღავი და დასაცინი პლაკატები გამოაქვთ „ელანდ როუდის" ტრიბუნებზე. მათი მოთმინების ფიალა წინა კვირაში ჯონათან ვუდგეიტის გაყიდვამ აავსო.

ვუდგეიტის გაყიდვით რიდსდეილმა ცხრა მილიონი დოლარი იშოვა, თუმცა, მედია აცხადებს, რომ ათი ათასი მაყურებელი მაინც დაკარგა.

„ჯილინგემთან" საშინაო მატჩს 29,355 გულშემატკივარი დაესწრო და იქედან 2,800 ჯილინგემიდან იყო ჩასული. ეს ციფრი სწორედ ათი ათასით ნაკლებია „ლიდსის" საცქრად ბოლო საშინაო მატჩში მიგროვებულ მაყურებელთა ოდენობაზე.

ამგვარი კლება საკვირველი არ არის, თუმცა, ჯეჯერობით არც კანონზომიერი შექნილა. ცხადი ერთია, რომ გულშემატკივრები ვაჭრუკანას უწოდებენ ვალებში ჩაფლულ რიდსდეილს. თუმცა, თავმჯდომარე ამის გამო გადადგომას არ აპირებს და რახან მენეჯერი ტერი ვენეიბლზი შეინარჩუნა, ახალი გუნდის შენებასაც დაიწყებს.

**ირაკლი გამყრელიძე**

# არსენ ვენგერი და სალონის კაცი
## ვენგერი რონალდინიოს და სიმენს 11 მილიონად შეარიგებს







**„არსენალი"** „მანჩესტერ იუნაიტედის" გაძარცვას აპირებს და საამისოდ 11 მილიონი გირვანქა აქვს გამოყოფილი. კერძოდ, ლაპარაკია ბრაზილიელ რონალდინიოზე, რომელიც მანჩესტერელებს აგერ უკვე ექვსი თვეა ვერ გადაუწყვეტიათ, ლონდონელებმა კი უცებ იშიშვლეს თანხა და გზაზე ჩაუხტნენ.

რონალდინიო, მოგეხსენებათ, „პარი სენ ჟერმენში" თამაშობს. გასულ ზაფხულს მან მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოიჩინა თავი, მას მერე მის შეძენას ზემოხსენებული „მანჩესტერ იუნაიტედი" და „ინტერი" ლამობენ.

„არსენალის" მწვრთნელი არსენ ვენგერი დარწმუნებულია, რომ ბრაზილიელს სწორედ იგი დაიყოლიებს და „ჰაიბერიზე" თანამემამულეებს, ჟილბერტო სილვასა და ედუს შეუერთებს. თუ მართლა ასე მოხდება, რონალდინიო ჩამოთვლილი ბრაზილიელების გარდა დევიდ სიმენის თანაგუნდელიც გახდება, მათი ამბავი კი ფეხბურთის მოყვარულებს კარგად მოეხსენებათ: მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში ბრაზილიელმა ინგლისელ მეკარეს შორიდან ტექნიკური დარტყმით ბურთი თავსუკან, კარში ჩაუსვა.

საგულისხმოა, რომ თავად რონალდინიოს ძალიან უნდა „პარი სენ ჟერმენიდან" წასვლა. მიზეზი მისი და პარიზელთა ცნობილი მწვრთნელის, ლუის ფერნანდესის მოხშირებული კამათი გახლავთ.

ფეხბურთელის საქმეებს მისი ძმა და იმავდროულად აგენტი, რობერტო ასისი განაგებს. მისი განცხადებით, რონალდინიოს თაობაზე „მანჩესტერ იუნაიტედმა" და „ინტერმა" რა ხანია ოფიციალური ქაღალდი აფრინეს, თუმცა გადაწყვეტილი ჯერჯერობით არაფერია.

„პარი სენ ჟერმენმა" გამთამაშებელი 2001 წელს 4 მილიონ გირვანქად პორტუ ალეგრეს „გრემიოსგან" იყიდა და ახლა, თუ გაყიდის, მინიმუმ 11 მილიონად. ცოტა ხნის წინ რონალდინიო 20 მილიონადაც კი იყო შეფასებული, მაგრამ მოთამაშეთა საერთაშორისო ბაზრის პრობლემებმა გააიაფა.

შეგახსენებთ, რომ როდესაც ეს ფეხბურთელი „პარი სენ ჟერმენში" გადავიდა, ვენგერმა განაცხადა, იგი სალონის მოთამაშეა, მატჩზე რეალურ გავლენას ვერასდროს მოახდენსო, ახლა კი, როგორც ხედავთ, 11 მილიონს გადის.

ბრაზილიელს პარიზში კონტრაქტის თანახმად კიდევ ორი წელიწადი დარჩენია, მაგრამ სეზონი რომ დასრულდება, მას, უფრო სავარაუდოდ, საფრანგეთში ვეღარ ვნახავთ.

თუ „არსენალში" გადავა, იქ დენის ბერხკამპს შეცვლის.

**პაატა კედია**

სარბიელი
სამუშაოდ იწვევს
გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს

მიღება მოხდება შერჩევით
მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის" რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე.
ცნობებისთვის დარეკეთ
39-48-29, 38-11-14

ეროვნული ბიბლიოთეკა



მონაკოელმა დადო პრსომ ლიონელი ედმილსონი მოიტოვა და გოლიც ამის მერე გაიტანა

REUTERS მონტაჟი

# დადო და შაბანი

## საფრანგეთი

I დივიზიონი. XXVI ტური

**მონაკო 2:0 ლიონი**

1:0 პრსო (30), 2:0 ნონდა (64)

**მონაკოში** გამგზავრების წინ „ლიონის" პრეზიდენტმა ჟან მიშელ ოლამ ბრძანა, უქსუქულიანი მატჩი გველისო. მოგების შემთხვევაში ლიონელები პირველ ადგილზე გადასკუპდებოდნენ, მაგრამ პოლ ლე გუენის გუნდმა სტუმრად თამაში ჯერ ვერ ისწავლა.

გარდა ამისა, „ლიონს" სონი ანდერსონის გარეშე უჭირს და ბრაზილიელი კაპიტნის დაბრუნებამდე ალბათ, არაფერი ეშველებათ.

„მონაკო" კი ბოლო ტურებში ლაღად ბურთაობს. წინა ტურში, „სედანთან" მოგების შემდეგ დიდიე დეშანის ნათქვამი გავიხსენოთ, საზეიმოდ არ გვცალია, „ლიონთან" ჩვენი ამბიციების დამტკიცება მოგვიწევსო. თქვა და დაამტკიცეს კიდეც. ისე კი, თუ დეშანის წარსულს გადავხედავთ, სადაც თამაშობდა, ყველგან შედეგს აღწევდა და, როგორც ჩანს, ფეხა მწვრთნელობაშიც გამოაჩნდა.

მოკლედ, „მონაკომ" „ლიონს" პირადულ დუელში აჯობა. თითო ტაიმში თითო გოლი აქმარა და კარიც მშრალად შეინახა.

პირველ ნახევარში ხორვატმა ლეგიონერმა, დადო პრსომ მეტოქე მცველი, ედმილსონი გააბითურა და ანგარიში გახსნა.

შესვენების შემდეგ სტუმრებმა ტრავმის გამო გრეგორი კუპე შეცვალეს. მის შემცვლელს მონაკოელთა მეგოლემ შაბანი ნონდამ გაუტანა და „ლიონის" ამბიციებიც მოაშთო.

**მაჭა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 26 | 12 | 9 | 5 | 40:21 | 45 |
| ნიცა | 25 | 11 | 9 | 5 | 29:18 | 42 |
| მარსელი | 25 | 12 | 6 | 7 | 26:23 | 42 |
| ლიონი | 26 | 11 | 8 | 7 | 43:32 | 41 |
| ოსერი | 24 | 11 | 7 | 6 | 24:19 | 40 |
| ბორდო | 24 | 11 | 6 | 7 | 34:23 | 39 |
| პსჟ | 25 | 10 | 9 | 6 | 32:21 | 39 |
| სოშო | 24 | 10 | 7 | 7 | 25:20 | 37 |
| ბასტია | 25 | 10 | 5 | 10 | 27:29 | 35 |
| ლანსი | 24 | 8 | 10 | 6 | 26:23 | 34 |
| გენგამი | 25 | 10 | 4 | 11 | 34:35 | 34 |
| ნანტი | 23 | 9 | 5 | 9 | 27:27 | 32 |
| სტრასბური | 24 | 8 | 7 | 9 | 26:34 | 31 |
| ლე ავრი | 25 | 7 | 8 | 10 | 19:27 | 29 |
| ლილი | 23 | 7 | 7 | 9 | 20:28 | 28 |
| რენი | 25 | 7 | 6 | 12 | 22:28 | 27 |
| აიაჩო | 25 | 6 | 9 | 10 | 20:29 | 27 |
| სედანი | 24 | 7 | 6 | 11 | 26:38 | 27 |
| მონპელიე | 24 | 3 | 9 | 12 | 19:32 | 18 |
| ტრუა | 24 | 3 | 7 | 14 | 14:26 | 16 |

### II დივიზიონი

24-ე ტური: შატორუ — ლავალი 0:2; ბოვე — რეიმსი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტულუზი | 24 | 14 | 5 | 5 | 35:15 | 47 |
| ლორიანი | 24 | 12 | 5 | 7 | 29:24 | 41 |
| მეცი | 23 | 11 | 6 | 6 | 30:19 | 39 |
| ლე მანი | 23 | 11 | 6 | 6 | 28:23 | 39 |
| გრენობლი | 24 | 9 | 9 | 6 | 30:16 | 36 |
| შატორუ | 23 | 10 | 6 | 7 | 25:22 | 36 |
| ნიორი | 24 | 9 | 6 | 9 | 26:26 | 33 |
| ვალანსი | 23 | 9 | 5 | 9 | 27:25 | 32 |
| ლავალი | 23 | 8 | 6 | 9 | 23:24 | 30 |
| კლერმონი | 23 | 8 | 5 | 10 | 26:33 | 29 |
| კრეტეი | 21 | 6 | 10 | 5 | 26:23 | 28 |
| ამიენი | 22 | 7 | 7 | 8 | 16:17 | 28 |
| ბოვე | 23 | 7 | 7 | 9 | 12:13 | 28 |
| ვასკეალი | 22 | 5 | 10 | 7 | 16:20 | 25 |
| კაენი | 23 | 5 | 10 | 8 | 26:31 | 25 |
| გენიონი | 21 | 6 | 6 | 9 | 18:22 | 24 |
| ნანსი | 22 | 6 | 6 | 10 | 18:27 | 24 |
| სენტ ეტიენი | 22 | 5 | 8 | 9 | 16:21 | 23 |
| რეიმსი | 23 | 4 | 11 | 8 | 17:23 | 23 |
| ისტრი | 23 | 5 | 8 | 10 | 20:40 | 23 |

# სათასო სისხლის დღეები



რეინჯერსელმა მორის როსმა მეტოქე ბურთთან არ მიუშვა

REUTERS გლაზგოდან

## შოტლანდია

ლიგის თასის ნახევარფინალი

**ჰართსი 0:1 რეინჯერსი**

0:1 დე ბური (27)

**რეინჯერსი:** შ. კლოსი, მორის როსი, კ. მური, ლ. ამორუზო, ნუმანი, რიკსენი, ბ. ფერგიუსონი, არტეტა, რ. დე ბური, მოლსი (კანიჯა 73), ნ. მაკანი

*შოთა არველაძე სათადარიგო იყო*

მწვრთნელი: ალექს მაკლიში

31 609 მაყურებელი

**ლიგის** თასი გლაზგოელ „ჩაფრებს" 22-ჯერ აუწევიათ და სარეკორდო მაჩვენებელს ვინძლო 16 მარტს გაზრდიან — დღეს კი „სელტიკი" და „დანდი იუნაიტედი" გამოავლენენ მეორე ფინალისტს — დასკვნითი მატჩი გლაზგოს ნეიტრალურ სტადიონ „ჰემპდენზე" გაიმართება.

შოთა არველაძემ ტრავმა ბოლომდე ვერ მოიშუშა, თუმცა ალექს მაკლიშმა სათადარიგოებში მაინც გაამწესა — „რეინჯერსმა" კი ქართველის აიაქსელი ძმაკაცის კინკილათი მოიგო — ნილ მაკანის ჩაწოდებულს ჯერ ფერნანდო რიკსენმა დაჰკრა თავი, მერე, საგოლედ რონალდ დე ბურმა.

პირველ ტაიმში „რეინჯერსი" დიდ უპირატესობას ფლობდა და გასატანი სხვაც ბევრი ჰქონდა. ედინბურგულ „ჰართსს" კი საუკეთესო შანსი მაშინ მიეცა, როცა რიკოშეტის შემდეგ ბურთი შტეფან კლოსის კარის ძელმა აისხლიტა.

მეორე 45 წუთი შედარებით მშვიდად წარიმართა — „ჰართსი" გამთანაბრებელი არ იყო და არც „რეინჯერსს" შეუწუხებია თავი დიდად.

თუ დღეს „სელტიკმაც" მოიგო, თასური „ოლდ ფირმი" გამოდნება — მანამდე, 8 მარტს კი პრემიერლიგური „ოლდ ფირმია".

**დავით თამართქილაძე**



„კიოლნის" რბევაში ბასტიან შვაინსტაიგერმა (მარჯვნივ) წილი ორი გოლით დადო

REUTERS მიუნხენიდან

# აბა, თქვი რვა
## ბასტი-ფანტასტი და გუნდები

## გერმანია

თასის მეოთხედფინალი

**ბაიერნი 8:0 კიოლნი**

1:0 ელბერი (7), 2:0 ჰარგრივსი (20), 3:0 შვაინსტაიგერი (32), 4:0 ელბერი (33), 5:0 შვაინსტაიგერი (50), 6:0 ზე რობერტო (56), 7:0 ელბერი (70), 8:0 სანიოლი (88)

**ბაიერნი:** კანი, კუფური (სანიოლი 46), რ. კოვაჩი, თ. ლინკე, ლიზარაზუ, ჰარგრივსი, შვაინსტაიგერი (შოლი 64), ნ. კოვაჩი, ზე რობერტო (დაისლერი 76), ელბერი, კ. პიზარო

მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი

**კიოლნი:** პრიოლი, ო. შრიოდერი, ჩიკონი, სიხონე, კრინგე, ლოტნერი, მაპე, ვოიგტი, შერცი, კურტი, შპრინგერი

არჩილ არველაძე ტრავმირებულია

მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი

გაფრთხილება: შვაინსტაიგერი

მსაჯი: ფანდელი

15 000 მაყურებელი

**მიუნხენის** „ბაიერნმა" ის უფსკრული დაგვანახა, რაც პირველ და მეორე ბუნდესლიგებს ჰყოფს — ასე დაასკვნა სააგენტო „როიტერმა".

არადა, „კიოლნი" მეორე ბუნდესლიგის ლიდერია და ასეთ უსუსურობას მისგან არავინ ელოდა — ბავარიელებმა კიოლნელებს გაკვეთილი კი არა სადამსჯელო ოპერაცია ჩაუტარეს.

ორი გოლი მიუნხენელთაგან 18 წლის ბასტიან შვაინსტაიგერმა გაიტანა — ეს ყმაწვილი „ბაიერნის" ახალგაზრდული გუნდიდან ზამთრის არდადეგებისას დააწინაურეს.

მატჩიც იმითაც გახლდათ ღირსახსოვარი, რომ 23 წლის სებასტიან დაისლერმა პირველი ოფიციალური შეხვედრა ითამაშა „ბაიერნში" — ბერლინური „ჰერტასგან" გადმობირებული დაისლერი მაისში ავსტრიასთან ამხანაგურ მატჩში ისე დაშავდა, რომ მოედანს ახლალა დაუბრუნდა — ბასტი-ფანტასტიმ ერთი საგოლე პასი მიითვალა კუთხურით, რომლის ჩაწოდებისას კიოლნელმა ფანებმა მას თოვლის გუნდები დაუშინეს.

„აშკარაა, რომ შეგვიძლია მთელი ჩვენი აზრები ლიგის თამაშებისკენ გადავიტანოთ" — ესღა აღმოხდა ნამატჩევს „კიოლნის" დამრიგებელ ფრიდჰელმ ფუნკელს.

რაც შეეხება მიხაელ ბალაკს, მან გრიპის ვერაგი ვირუსის გამო ვერ ითამაშა.

**დავით თამართქილაძე**

# გაცნობის საღამო ლოს ანჯელესში

## ამხანაგური მატჩი

**მექსიკა 0:1 არგენტინა**

0:1 გ. როდრიგესი (14)

**მექსიკა:** ო. სანჩესი, პარდო, დავინო, დ. მარტინესი, კარმონა, ალტამირანო (არსე 68), ლუნა (კ. მორალესი 68), ხ. როდრიგესი (ლ. პერესი 46), ი. ლოპესი, ოლალდე (ხ. კასტრო 74), ბლანკო

მწვრთნელი: რიკარდო ლავოლპე

**არგენტინა:** ხახა, ბურდისო, გ. როდრიგესი, პონცო, გინაზუ, ბატალია, მ. გონსალესი (კარინანო 86), ლ. გონსალესი, ინსუა, დ. მილიტო (კ. როდრიგესი 55), დალესანდრო

მწვრთნელი: მარსელო ბიელსა

ეს რა უცნაური შემადგენლობით ითამაშა არგენტინის ნაკრებმა — უმრავლესობის ასავალ-დასავალს ვერაფერს გაუგებთ, ყველაზე ცნობილი ფეხბურთელი კი ანდრეს დალესანდრო გახლავთ.

მექსიკელებს ძველი ფეხბურთელები უფრო მეტი ჰყავდათ, სამაგიეროდ, მწვრთნელს ჰქონდა დებიუტი. მოგეხსენებათ, რაც ხავიერ აგირე მსოფლიოს ჩემპიონატის მერე ესპანურ „ოსასუნაში" გადაბარგდა, ნაკრები რიკარდო ლავოლპემ ჩაიბარა. იმასაც შეგახსენებთ, რომ ლავოლპე არგენტინელია.

მეტოქენი ლოს ანჯელესში შეიყარნენ და არგენტინამ ყმაწვილი გონსალო როდრიგესის ერთადერთი გოლით მოიგო. 18 წლის მცველმა პირველ სანაკრებო მატჩში პირველი გოლი დალესანდროს მიერ ჩაწოდებულ კუთხურს მოაყოლა — ბურთი მასსა და მექსიკელ მცველ დიეგო მარტინესს შუა ჩავარდა, არგენტინელს დარჩა და მანაც ერთი მეტრიდან გაუტანა ოსვალდო სანჩესს.

ამ გოლმა ისეთი ჟინით აღავსო როდრიგესი, რომ მალიმალ ჩარბოდა თავდამსხმელთა დასახმარებლად და მატჩის მიწურულს ლამის მეორეც გაიტანა. მან მექსიკელი პაველ პარდოს პასი ჩაჭრა და ღონივრად დაჰკრა კარისკენ. ოღონდ, ეგაა, ბურთს ბოლო წამს ფრანსისკო არსე გადაელობა.

მაგრამ ისეც არ გამოგვივიდეს, რომ მექსიკელები მხოლოდ თავს იცავდნენ. შიგადაშიგ უტევდნენ და ყველაზე სახიფათო მომენტი 76-ე წუთზე შექმნეს, როცა ხოსე ანტონიო კასტროს დარტყმული სებასტიან სახამ მუხლით მოიგერია.

„ეს ჩემი ფეხბურთელებთან გაცნობის მატჩი იყო — თქვა ლავოლპემ, რომელიც, დაგვავიწყდა გვეთქვა, 1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონი არგენტინის ნაკრების სათადარიგო მეკარე იყო — წაგებას დიდად არ დავუღონებივარ. მთავარია, კონკაკაფის ოქროს თასისთვის და პანამერიკული თამაშებისთვის კარგ ფორმაში ვიყოთ."

„უაღრესად ჩაკეტილი თამაში იყო — თქვა თავის მხრივ არგენტინელთა მარად მოუსვენარმა მწვრთნელმა მარსელო ბიელსამ — ფეხბურთელები თითოეული გოჯისთვის იბრძოდნენ, რამაც სივრცეები შეზღუდა და საგოლე მომენტები თითო-ოროლა შეიქმნა".

ახლა არგენტინის ნაკრები, რომელშიც მხოლოდ შინაურ ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელები არიან მიწვეულნი, შაბათს, მაიამიში ამერიკელებს შეხვდება.

**გიორგი დარჯანია**

# მეექვსე

ვერ არის საქმე კარგად — რაც ხუან გასპარი „ბარსელონას“ პრეზიდენტის სავარძელში მოკალათდა, მასთან უთანხმოების მიზეზით კლუბიდან უკვე ექვსი ვიცე-პრეზიდენტი წავიდა. მეექვსე სალვადორ ალემანი გახდა, რომელიც გუშინდელ გადადგომამდე კლუბს მთელი ოცი წელი ემსახურა.

„ბარსელონას“ ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ ალემანი კლუბის მართვასთან დაკავშირებით აზრთა შეუთანხმებლობის გამო გადადგა, თუმცა სეზონის ბოლომდე მაინც იმუშავებს „ბარსელონას“ კალათბურთის სექტორში.

კატალონიური მედია კი იუწყება, რომ პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი ერთ საკითხში ვერ შეთანხმდნენ — ალემანი გასპარის გადადგომას ითხოვდა, რაკი პრეზიდენტობის ორწელიწადნახევრის განმავლობაში გასპარისეულ „ბარსელონას“ არაფერი მოუგია და კლუბის საქმეები სულ უკან და უკან მიდის.

ადრეც ვწერდით, გასპარი გადადგომას არ ფიქრობსო და აზრი არც ახლა შეუცვლია, მიუხედავად იმისა, რომ მისი ძველი მოწინააღმდეგე ლუის ბასატიც ყოველდღიურად ახსენებს, კლუბის ასი ათასი წევრის ნებას უნდა დაჰყვეო. სხვათა შორის, 2000 წლის არჩევნებში მონაწილეობა 45 ათასმა წევრმა მიიღო და გასპარმა 12 პროცენტით აჯობა ბასატს.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ქომაგს ვინძლო ანტიჩისეული გარდაქმნები უფრო აინტერესებდეს, მით უფრო, რომ გასაკეთებელი ბევრია, დრო კი — ცოტა. უკვე კვირას „ბარსელონას“ „ბილბაოსთან“ მართებს სამი ქულისთვის ბრძოლა და, უკეთ მომზადების მიზნით გუშინ ლაჩით რადომირ ანტი-



რადომირ ანტიჩი

ჩმა გუნდი კადისში წაიყვანა იქაურ გუნდთან ამხანაგურად გასაჯიბრებლად.

ანტიჩმა კადისში ყველა საუკეთესო ფეხბურთელი იახლა, მათ შორის, ფეხმტკივანი ხავიერ სავიოლა და პატრიკ ანდერსონიც კი, რომელიც რა ხანია, მკურნალობს.

თავდაპირველად ვთქვათ, რომ „ბარსამ“ „კადისს“ 2:1 მოუგო, გოლები ხუან პაბლო სორინიმ და ტიაგო მოტამ გაიტანეს. „ბარსელონამ“ კი თამაში ასეთი შემადგენლობით დაიწყო: ბონანო, რაიციგერი, დე ბური, პუიოლი, სორინი, ხავი, კოკუ, კლუივერტი, რიკელმე, როჩემბაკი და მენდიეტა.

ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს, ხოსე ლეისმა მე-10 წუთზე დააწინაურა „კადისი“, მაგრამ სორინმა, რომელიც ანტიჩის დავალებით მალიმალ ჩადიოდა შემტევთა დასახმარებლად, ოთხ წუთში გაათანაბრა. ამის მერე რობერტო ბონანოს ბევრი საქმე აღარ ჰქონია, კლუივერტი და ხავი ახლოს იყვნენ მიზანთან.

შესვენებისას ანტიჩმა რამდენიმე ცვლილება მოახდინა. ხავი ინიესტამ შეცვალა, რიკელმეს ნაცვლად სავიოლა შევიდა, კლუივერტის ადგილი დანიმ დაიკავა, იერიშებისთვის მეტი სიმწვავის მისაცემად კი სორინი ოვერმარსმა შეცვალა. გამარჯვების გოლი კი მოტამ 85-ე წუთზე გაიტანა, როცა ინიესტას ჩაწოდებულ კუთხურს თავი დაუხვედრა.

ახლა კითხვა ასე დავსვათ: როგორ წარმოუდგენია რადომირ ანტიჩს „ბარსელონას“ ოპტიმალური შემადგენლობა და განლაგება?

კარში რობერტო ბონანო იდგება, მის წინ კი ოთხი მცველი ითამაშებს. ფრთებზე გამწესებულ რაიციგერს და სორინის უშუალო მოვალეობების შესრულების გარდა წინახაზელთა დახმარებაც მოუწევთ, ცენტრალურმა მცველებმა, კარლეს პუიოლმა და ფრანკ დე ბურმა კი მხოლოდ დაცვას უნდა მიხედონ. აქვე დავძინოთ, რომ ანტიჩი ანდერსონის გამოჯანმრთელებას ელოდება, რის მერეც შვიდი დაცვის ცენტრში პუიოლს შეცვლის, პუიოლი კი რაიციგერის ადგილს დაიკავებს.

ოთხი ნახევარმცველი — მენდიეტა, ხავი, კოკუ და რიკელმე ნახევარწრეზე განლაგდებიან და თავდამსხმელებს პასებით შეეწევიან. თავდამსხმელთაგან ერთი უეჭველად პატრიკ კლუივერტი იქნება, ოვერმარსი და სავიოლა კი ერთმანეთს შეცვლიან.

**გიორგი დარჯანია**

# ანტიჩმა ბარსელონა დაალაგა






ფერნანდო ტორესს თვალი ბობოლა კლუბებმა დაადგეს

# ეს ბიჭი ძვირად თამაშობს
## ხილმა იცის, ტორესი რა ხილია

**დიდი შანსია,** მადრიდული „ატლეტიკო“ ზაფხულიდან ახალგაზრდა ფორვარდმა ფერნანდო ტორესმა დატოვოს. ამ ფეხბურთელის დიდ ნიჭში კი, წინა შაბათსაც შეგეძლოთ დარწმუნებულიყავით, როცა მისმა „ატლეტიკომ“ კატალონიური „ბარსელონა“ 3:0 დაარჩოქა.

ტორესზე მისი მადრიდულ კლუბში გამოჩენისთანავე ალაპარაკდნენ, მაშინ, როცა „ატლეტიკო“ სეგუნდადივიზიონში თამაშობდა. „მადრიდში მეორე რაული იზრდება“, „იგი დიდ ფეხბურთს ითამაშებს“, „ტორესი უკვე ვარსკვლავია“ — რა ეპითეტებით არ შეამკეს ყმაწვილი ფერნანდო.

ჰოდა, ბუნებრივია, კარგი თამაშით ტორესმა ევროპულ გრანდთა ყურადღებაც მიიქცია. მის გადასაბირებლად დიდ თანხას არ იშურებენ. „ატლეტიკოს“ გიჟმაჟ პრეზიდენტ ხესუს ხილი ხილსაც რიგი დაუდგა: „ბარსელონა“, „რეალი“, „მილანი“, „იუვენტუსი“, „ინტერი“, „მანჩესტერ იუნაიტედი“, „არსენალი“...

დაგვეთანხმებით, ურიგო ჩამონათვალი არ არის.

ფაქტობრივად, ახლა ხესუს ხილის მოთაფვლალა დარჩა, რომელი კლუბიც მეტ მარიფათს გამოიჩენს, ტორესიც იმას დარჩება, მაგრამ... „ნურას უკაცრავად, ფერნანდო ტორესს არაფრის დიდებით შევეელევი“ — ამბობს ხილი, მაგრამ მოგეხსენებათ, ფული ჯოჯოხეთს ანათებს, ლონ ხილი კი ეშმაკთან წილნაყარი კაცია, თუმც გადასახადების დამალვისთვის ნაციჩარ პრეზიდენტს ძლიერი გუნდის ყოლაც რომ სურს, ესეც ვიცით.

ერთი სიტყვით, ვითარება ჯერ ბუნდოვანია, მაგრამ ესპანელმა ჟურნალისტებმა ასეთი რამ გამოზნიკეს: ორი წელია, რაც ფერნანდო ტორესი საფეხბურთო სასპარეზში გამოჩნდა და მისი საწყისი სატრანსფერო ფასი 20 მილიონი ევროა.

ხესუს ხილი კი ამბობს: „თანხაზე ლაპარაკიც არ მსურს. ტორესს თუ ოდესმე შეველიე, გარწმუნებთ, გვარიან თანხას გავყიდი.“

**გიორგი მაზაძიძე**

# მე მას ვჭირდები



პატრიკ ანდერსონი

**რადომირ ანტიჩმა** პატრიკ ანდერსონი კადისში წაიყვანა და იქაურებთან ამხანაგური მატჩისას სათადარიგოთა სკამზე ჰყავდა. ფეხბურთელისთვის, რომელსაც ტრავმების გამო მთელი წელი გაუცდა, ეს უმნიშვნელო ამბავი არ არის. შვედისთვის გვირაბის ბოლოს სინათლე, როგორც იქნა, გამოჩნდა.

„ბარსელონაში“ ახალი მწვრთნელის მისვლა ანდერსონის გამოჯანმრთელების პროცესის ბოლო ფაზას დაემთხვა.

„ანტიჩი, ფეხბურთელებთან გაცნობისთანავე ჩემთან მოვიდა და ჩემი ფიზიკური მდგომარეობით დაინტერესდა — ამბობს შვედი მცველი — ვუთხარი, თავს კარგად ვგრძნობ და ფორმის დასაბრუნებლად პრაქტიკა მჭირდება-მეთქი. ძალიან სასიამოვნოა, როცა მწვრთნელი გაგრძნობინებს, რომ სჭირდები“.

ანდერსონისთვის ექიმებს თამაშის უფლება ჯერ არ მიუციათ, თუმც ბურთით უკვე ავარჯიშებენ: „ცოტა კოორდინაცია და დისტანციის გრძნობა მჭირს, ასევე თანაბარი რიტმის შენარჩუნებაც, მაგრამ ენერგიის მოზღვავებას ვგრძნობ და თავს არ ვზოგავ. მთავარი კი მაინც ფსიქოლოგიური მხარეა, მოშუშებულ ფეხზე დატვირთვის აღარ მეშინია“ — დასძინა ანდერსონმა.

რაკი საქმე კარგად მიდის, ბუნებრივად ჩნდება კითხვა, თუ როდის შედგება ანდერსონის დებიუტი, რაზეც შვედი ამბობს: „კონკრეტული თარიღის თქმა შეუძლებელია. ისე კი, ცხადია, მსურს, რაც შეიძლება მალე დავბრუნდე. „ბარსასთან“ კონტრაქტი 2004 წლამდე მაკავშირებს, დრო გადის, მე კი ჯერ გუნდისთვის ბევრი არაფერი გამიკეთებია“.

ზოგადად ფეხბურთზე კი ანდერსონმა თქვა: „თანამედროვე ფეხბურთი ძალიან შეიცვალა. დღეს წარმატებას ის გუნდები აღწევენ, რომლებიც ნაკლებს რისკავენ და დაცვას გამორჩეულ ყურადღებას უთმობენ“.

**გიორგი დარჯანია**

# ლესტერ სიტი გარის არის

**გარი ლინეკერი** ზეიმობს — მისმა კონსორციუმმა „ლესტერ სიტის“ ყიდვის უფლება მიიღო. გარი ლინეკერი 80-იანი წლების დიდი ინგლისელი თავდამსხმელია, ხოლო „ლესტერ სიტი“ კლუბი, რომელიც პირველ დივიზიონში 60 მილიონიანი ვალით დამძიმებული თამაშობს.

„ამ საქმის გაჩარხვაში მე ყველაზე მცირე წვლილი მიმიძღვის. ყველაფერი ძირითადად სხვა ადამიანებმა მოაგვარეს, ბედნიერი ვარ, რომ რაც მინდოდა, ის მოხდა. ახლა, სეზონის დარჩენილ ნაწილს იმედით შევყურებ“ — თქვა ლინეკერმა.

ასე და ამგვარად, „ლესტერს“ ლინეკერის მრჩეველი და მარჯვენა ხელი, ჯონ ჰოლმსი უპრეზიდენტებს, ოღონდ მისი ამბავი იურიდიულად კვირის ბოლოს გაფორმდება. რაც შეეხება მწვრთნელს, მიკი ადამსს, მას უკვე შეუძლია ახალი ფეხბურთელების შეძენაზე იფიქროს.

ჰოლმსმა თქვა: „დღეს „ლესტერისთვის“ ბედნიერი დღეა. ჩვენ მომავალს იმედის თვალით შევყურებთ, რადგან საკმარისი შემოსავალი გვაქვს. ბედნიერი ვარ, ქომაგები ასე გულთბილად რომ შეგვხვდნენ. მინდა მადლობა გადავუხადო ფეხბურთელებსაც, რომლებიც ხელფასების და პრემიების დახარისხებაზე დაგვყაბულდნენ. მათი დახმარების გარეშე კლუბს ვერ შევიძენდით“.

**ბაჩუნა ძიძია**




გარი ლინეკერი

# კამორანეზის ცისფერი მომავალი
## კვლავ BAGGIO IN NAZIONALE



მაურო კამორანეზიმ არგენტინას იტალია არჩია

„იუვენტუსის" არგენტინელმა ფეხბურთელმა მაურო კამორანეზიმ განაცხადა, იტალიის ნაკრებში მსურს თამაში და ამ განცხადებამ დიდი ხმაური გამოიწვია. ეს ხმაური კი „ბრეშას" მწვრთნელისთვის, კარლო მაცონესთვის გამოდგა სრულიად გაუგებარი.

„წარსულში სკუადრა აძურას შემადგენლობაში უამრავ არგენტინელ და ბრაზილიელ ფეხბურთელს უთამაშია, ამიტომაც კამორანეზის გადაწყვეტილებაში სასკანდალო არაფერია. თუ ჯოვანი ტრაპატონის ეს ფეხბურთელი სჭირდება, პრობლემა არ უნდა იყოს" — განაცხადა მაცონემ.

12 თებერვალს იტალიის ნაკრები პორტუგალიისას ხვდება და კამორანეზი, რომელიც, გვარიდანაც ჩანს იტალიური წარმოშობის რომ არის, ალბათ მართლა გახდება აძურის წევრი. მას შეუძლია ნახევარდაცვის მარცხნივ ან მარჯვნივ თამაში.

აღსანიშნავია, რომ კამორანეზის არგენტინის ნაკრებში არ უთამაშია (თორემ იტალიისაზე ლაპარაკიც ზედმეტი იქნებოდა) და არც იწვევენ.

კარლო მაცონემ კამორანეზის გარდა მისი გუნდის უბერებელ ვარსკვლავზე, რობერტო ბაჯოზე ილაპარაკა, ოღონდ ასე:

„ბაჯოს ნაკრებში წაყვანა-არწაყვანის შესახებ მიჯობს ხმა არ ამოვიღო, რადგან ჯოვანი ტრაპატონი ჩემი დიდი მეგობარია".

მოგეხსენებათ 36 წლის ბაჯო ისევ საუცხოო ფორმაშია და იტალიელი ქომაგები მის ნაკრებში წაყვანას ითხოვენ.

ამასობაში, „მილანის" არგენტინელი ვარსკვლავი, ფერნანდო რედონდო ამბობს, რომ „ინტერმა" სანტიაგო სოლარის ყიდვაზე უარის თქმით დიდი შეცდომა დაუშვა. „რეალის" ნახევარმცველი იანვარში ახლოს იყო მილანის „შავ-ლურჯ" გუნდთან გარიგებასთან, მაგრამ მხარეებმა ხელფასზე ვერა და ვერ მოილაპარაკეს.

„სოლარისნაირი კაცი ბევრ გუნდს გამოადგება — თქვა რედონდომ — იგი ტექნიკურად უზადოა და მოედანზე გადაადგილებაში საუცხოოდ ერკვევა. ბოლოს რომ ველაპარაკე იტალიურ ფეხბურთში თავის მოსინჯვა ძალიანაც უნდოდა".

შემდეგ, რედონდოს მის გამოჯანმრთელებაზე ჰკითხეს.

„მოდენაში ჩემი თამაშის მიმართ ძალიან კრიტიკულად ვარ განწყობილი, თუმცა ცუდადაც არ მიმოქმედია. კარგ ფორმაში კი ერთი თვის შემდეგ ვიქნები, როდესაც ჩემპიონთა ლიგაში „რეალს" შევხვდებით" — უპასუხა არგენტინელმა.

მოგეხსენებათ, რედონდო „მილანში" „რეალიდან" 2000 წელს გადავიდა, მაგრამ ორი წელიწადი მუხლის მკურნალობას მოანდომა.

**პაპუნა ძიძია**

# გაქცევა თურქეთიდან
## თერიმმა შაშს თავში ქვა უსურვა



არიელ ორტეგა

**შარშან** სტამბოლში ზარ-ზეიმით ჩასულ არიელ ორტეგას „ფენერბაჰჩე" მოსწყინდა. ძველი მწვრთნელი, გერმანელი ვერნერ ლორანტი არგენტინელს ენდობოდა, ძირითად შემადგენლობაშიც ათამაშებდა, მაგრამ ლორანტი წავიდა და მისი ადგილი თურქმა ოგუზ ჩეტინმა მოიხელთა. ჩეტინმა ორტეგა აითვალწუნა, რამაც არგენტინელის წყრომა გამოიწვია და სამშობლოში დასაბრუნებლად მომართა.

სტამბოლში ყოფნისას ორტეგამ თურქული ვერ შეისწავლა. ერთხელ ისიც თქვა, ეს რა ენაა, საშინელებააო. მას გუნდში თარჯიმნობას ებრაელი ჰაიმ რევივო უწევდა. რევივო თურქეთამდე ესპანეთში, ვიგოს „სელტაში" თამაშობდა და საყველპურო ესპანური იცოდა. ორტეგას თარჯიმანიც გამოეცალა — რევივო ფათიჰ თერიმმა თავის „გალათასარაიში" გადაიბირა და დარჩა არგენტინელი ეულად თურქული ენის პირისპირ.

„ფენერბაჰჩემ" არიელი „რივერ პლეიტს" 9 მილიონ დოლარად დასცინცლა. ახლა თურქებს შეუთვლიათ, თქვენი ფეხბურთელი უკან წაიყვანეთ, თან ცოტა ფული დაგვიმატეთო. „რივერის" პრეზიდენტმა კი თანაშემწე, ანტონიო გალეინდო სტამბოლში აფრინა და თან დააბარა, კაპიკის გადამხდელები არ ვართ, ორტეგა კი წამოიყვანეო. ასე რომ, ორტეგას ამბავი სულ მალე გაირკვევა.

მეორე თურქული გრანდიდან, „გალათასარაიდან" ჰასან შაშის წასვლას ელიან. იტალიურ გაზეთებში უკვე გაჩნდა ცნობა იმის თაობაზე, რომ შაშმა „ინტერთან" წინასწარ შეთანხმებას მიაღწია და მასიმო მორატი მას ივნისში მილანში ელის. შაშს „გალათასარაისთან" კონტრაქტი მაისის ბოლოს უმთავრდება და თავისუფალი აგენტი გახდება. ფათიჰ თერიმს იტალიური გაზეთების ცნობა რომ მიურბენინეს, „იმპერატორმა" თქვა, თავში ქვა უხლია, სადაც უნდა წავიდეს, აგერ, აბელ შავიერი ვიყიდე და ჰაიმ რევივოს ათნომრიანი მაისურა ჩავახუტეო.

და კიდევ, ჰასან შაშის საცოლე და მისი ოჯახი „ფენერბაჰჩეს" ქომაგები არიან. ქალი რომ შეუჩნდება კაცს, ხომ იცით. სასიმამროს სურს, სასიძო „ფენერბაჰჩეს" ფერებში გაახვიოს, მაგრამ „გალადან" „ფენერში" გადასვლა სახიფათო საქმეა. ამიტომ ჰასანმა მილანის „ინტერის" ვარიანტი არჩია და ალბათ, იტალიის გზასაც დაადგება.

**რომან თურქია**

# ამხანაგური მატჩები 12 თებერვალს

## შოტლანდია — ირლანდია

### შოტლანდია

*მეკარეები:* რობერტ დუგლასი (სელტიკი), პოლ გალაჰერი (დანდი იუნაიტედი), ნილ სალივანი (ტოტენჰემი, ინგლისი);

*მცველები:* გრემ ალექსანდერი (პრესტონი, ინგლისი), რასელ ანდერსონი (აბერდინი), სტივენ კოლდუელი (ნიუკასლი, ინგლისი), კრისტიან დეილი (ვესტ ჰემი, ინგლისი), რობერტ მალკოლმი (რეინჯერსი), დომინიკ მატეო (ლიდსი, ინგლისი), სტივენ პრესლი (ჰართსი), მორის როსი (რეინჯერსი);

*ნახევარმცველები:* კოლინ კამერონი (ვულვერჰემპტონი, ინგლისი), სკოტ ჯემილი (ევერტონი, ინგლისი), ჯეკი მაკნამარა (სელტიკი), პოლ დევლინი (ბირმინგემი, ინგლისი), ბარი ფერგიუსონი (რეინჯერსი), პოლ ლამბერტი (სელტიკი), გარი ნეისმიტი (ევერტონი, ინგლისი), ჯეიმი სმიტი (სელტიკი);

*თავდამსხმელები:* სტივენ კროუფორდი (დანფერმლაინი), სკოტ დობი (ვესტ ბრომვიჩი, ინგლისი), დონ ჰათჩისონი (ვესტ ჰემი, ინგლისი), კევინ კაილი (სანდერლენდი, ინგლისი), ნილ მაკკანი (რეინჯერსი), კენი მილერი (ვულვერჰემპტონი, ინგლისი), სტივენ ტომპსონი (რეინჯერსი)

## საფრანგეთი — ჩეხეთი

### ჩეხეთი

*მეკარეები:* პეტერ ჩეხი (რენი, საფრანგეთი), ანტონინ კინსკი (ლიბერეცი);

*მცველები:* რენე ბოლფი (ბანიკი), ზდენეკ გრიგერა, ტომაშ ჰუბშმანი (ორივე სპარტა), ადამ პეტროუში (სლავია), ტომაშ იუყფაუში (ჰამბურგი, გერმანია);

*ნახევარმცველები:* მარეკ იანკულოვსკი (უდინეზე, იტალია), რიჩარდ დოშტალეკი, პატრიკ გედეონი (ორივე სლავია), ტომაშ გალაშეკი (აიაქსი, ჰოლანდია), პაველ ნედვედი (იუვენტუსი, იტალია), კარელ პობორსკი (სპარტა), ტომაშ როსიცკი (დორტმუნდი, გერმანია), ვლადიმირ შმიცერი (ლივერპული, ინგლისი);

*თავდამსხმელები:* მილან ბაროში (ლივერპული, ინგლისი), იან კოლერი (დორტმუნდი, გერმანია), სტეპან ვახოუშეკი (სლავია)

## ბელგია — ალჟირი

### ბელგია

*მეკარეები:* გერტ დე ფლიგერი (ტილბურგი, ჰოლანდია), ფრედერიკ ერპოელი (გენტი);

*მცველები:* დანიელ ვან ბუიტენი (მარსელი, საფრანგეთი), პეტერ ვანდერჰიდენი (ბრიუგე), ტიმი სიმონსი (ბრიუგე), ოლივიე დე კოკი (ბრიუგე), ჟილ ვან დამი (აიაქსი, ჰოლანდია);

*ნახევარმცველები:* ბარტ გოორი (ჰერტა, გერმანია), ვალტერ ბასეჯიო (ანდერლეხტი), ივ ვანდერეგე (ანდერლეხტი), ჟატან ენგლებერტი (ბრიუგე), ბერნდ ტიისი (გენკი), სანდი მარტენსი (ბრიუგე), მბო მპენზა (მუსკრონი);

*თავდამსხმელები:* უესლი სონკი (გენკი), თომას ბუფელი (ფეიენოორდი, ჰოლანდია), სედრიკ რუსელი (მონსი), ტომ სოტერსი (როდა, ჰოლანდია), ემილ მპენზა (შალკე, გერმანია)

## ეგვიპტე — დანია

### დანია

*მეკარეები:* თომას სორენსენი (სანდერლენდი, ინგლისი), პეტერ სკოვიენსენი (მიდტიულანდი);

*მცველები:* მარტინ ალბრეხტსენი (კოპენჰაგენი), თომას ჰელვეგი (მილანი, იტალია), რენე ჰენრიკსენი (პანათინაიკოსი, საბერძნეთი), ნიკლას იენსენი (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), მარტინ ლაურსენი (მილანი, იტალია);

*ნახევარმცველები:* თომას გრავესენი (ევერტონი, ინგლისი), კლაუს იენსენი (ჩარლტონი, ინგლისი), იან კრისტიანსენი (ესბიერგი), თომას როლარსენი (კოპენჰაგენი), კრისტიან პოულსენი (შალკე, გერმანია), მორტენ ვიგჰორსტი (ბრონდბიუ), იესპერ გრონკიაერი (ჩელსი, ინგლისი), დენის რომედალი (პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია);

*თავდამსხმელები:* იონ დალ ტომასონი (მილანი, იტალია), ებე სანდი (შალკე, გერმანია)

## საბერძნეთი — ნორვეგია

### ნორვეგია

*მეკარეები:* ფროდე ოლსენი (ვიკინგი), ერიკ ჰოტანი (ოდ გრენლანდი);

*მცველები:* კრისტერ ბასმა (რუსენბორგი), ანდრე ბერგდოლმო (აიაქსი, ჰოლანდია), რონი იონსენი (ასტონ ვილა, ინგლისი), ბრედე ჰანგელანდი (ვიკინგი), ტორიუს ჰანსენი (არმინია, გერმანია), კლაუს ლუნდეკვამი (საუთჰემპტონი, ინგლისი);

*ნახევარმცველები:* ტრონდ ანდერსენი (უიმბლდონი, ინგლისი), ერიკ ბაკე (ლიდსი, ინგლისი), ტომი-სვინდალ ლარსენი (ნიურნბერგი, გერმანია), პეტერ რუდი (ბეერსხოტი, ბელგია), იონ არნე რიისე (ლივერპული, ინგლისი), სიგურდ რუშფელდტი (აუსტრია, ავსტრია);

*თავდამსხმელები:* იონ კარეუ (ვალენსია, ესპანეთი), ტორე ანდრე ფლო (სანდერლენდი, ინგლისი), სტეფენ ივერსენი (ტოტენჰემი, ინგლისი), ოლე გუნარ სოლსკიაერი (მანჩესტერი, ინგლისი), ჯო ტესემი (საუთჰემპტონი, ინგლისი)

## Copa Toyota Libertadores '2003

**ლიბერტადორესის თასი 2001**

**V ჯგუფი. I ტური**

**გრემიო (ბრაზილია) 3:2 უნამი (მექსიკა)**

0:1 ბელტრანი (23), 1:1 მარიო (30), 2:1 ბელტრანი (33ს.კ.), 2:2 აუგუსტო (76), 3:2 როჟერი (90)

# სარბიელი და კროკო
## წარმოგიდგენთ

**გერმანია. ბუნდესლიგა. XX ტური**

**8 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 001 | ჰანზა-კოტბუსი | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| 18.30 | 002 | ჰანოვერი-ნიურნბერგი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| 18.30 | 003 | ვერდერი-მიუნხენი | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,25 | 1,81 |
| 18.30 | 004 | ვოლფსბურგი-არმინია | 1,85 | 3,0 | 4,4 | 1,14 | 1,3 | 1,78 |
| 18.30 | 005 | ლაუტერნი-მიონხენგლადბახი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 18.30 | 006 | ჰერტა-შალკე | 2,25 | 3,1 | 3,1 | 1,3 | 1,3 | 1,54 |
| 18.30 | 007 | ბოხუმი-ლევერკუზენი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |

**9 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 008 | ბაიერნი-ჰამბურგი | 1,35 | 4,0 | 9,0 | 1 | 1,17 | 2,76 |
| | 009 | ბაიერნი-ჰამბურგი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| 20.30 | 010 | შტუტგარტი-დორტმუნდი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |

**გერმანია. II ბუნდესლიგა. XX ტური**

**7 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 011 | როიტლინგენი-ბრაუნშვაიგი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 22.00 | 012 | ბურგჰაუზენი-დუისბურგი | 2,4 | 3,1 | 2,8 | 1,35 | 1,29 | 1,47 |
| 22.00 | 013 | ვალდჰოფი-მაინცი | 3,0 | 3,1 | 2,3 | 1,52 | 1,3 | 1,32 |

**9 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 014 | ობერჰაუზენი-უნიონი | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 18.00 | 015 | სტ.პაული-ლიუბეკი | 2,35 | 3,1 | 2,9 | 1,33 | 1,29 | 1,49 |
| 18.00 | 016 | ფრაიბურგი-ალენი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 18.00 | 017 | ფიურტი-აინტრახტი | 2,45 | 3,1 | 2,7 | 1,36 | 1,28 | 1,44 |
| 18.00 | 018 | კარლსრუე-ტრირი | 2,4 | 3,1 | 2,8 | 1,35 | 1,29 | 1,47 |

**10 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.15 | 019 | კიოლნი-ალემანია | 1,55 | 3,4 | 6,5 | 1,06 | 1,25 | 2,23 |

**ინგლისი**

**პრემიერლიგა. XXVII ტური**

**8 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.30 | 021 | ლივერპული-მიდლსბრო | 1,4 | 3,8 | 8,0 | 1,02 | 1,19 | 2,57 |
| | 022 | ლივერპული-მიდლსბრო 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,5 | | | |
| 19.00 | 023 | ბირმინგემი-ჩელსი | 3,6 | 3,1 | 2,0 | 1,66 | 1,28 | 1,21 |
| 19.00 | 024 | ბლეკბერნი-საუთჰემპტონი | 2,1 | 3,0 | 3,5 | 1,23 | 1,31 | 1,61 |
| 19.00 | 025 | ჩარლტონი-ევერტონი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| 19.00 | 026 | ფულემი-ასტონ ვილა | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| 19.00 | 027 | ლიდსი-ვესტ ჰემი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 19.00 | 028 | ტოტენჰემი-სანდერლენდი | 1,45 | 3,6 | 7,5 | 1,03 | 1,21 | 2,43 |
| | 029 | ტოტენჰემი-სანდერლენდი 0:1 | 2,1 | 3,2 | 2,4 | | | |
| 19.00 | 030 | ვესტ ბრომვიჩი-ბოლტონი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |

**9 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.30 | 031 | მანჩესტერი-სიტი | 1,45 | 3,6 | 7,5 | 1,03 | 1,21 | 2,43 |
| | 032 | მანჩესტერი-სიტი 0:1 | 2,1 | 3,2 | 2,4 | | | |
| 20.05 | 033 | ნიუკასლი-არსენალი | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,29 | 1,39 |

**ინგლისი. I დივიზიონი. XXXI ტური**

**8 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 035 | ბრაიტონი-ვულვერჰემპტონი | 3,3 | 3,3 | 2,05 | 1,64 | 1,26 | 1,26 |
| 19.00 | 036 | ქოვენტრი-ბარნსლი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 19.00 | 037 | გრიმსბი-სტოკი | 2,3 | 3,1 | 3,0 | 1,32 | 1,3 | 1,52 |
| 19.00 | 038 | იფსვიჩი-შეფილდი | 2,2 | 3,3 | 3,0 | 1,32 | 1,26 | 1,57 |
| 19.00 | 039 | პორტსმუთი-დერბი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 19.00 | 040 | პრესტონი-მილუოლი | 2,25 | 3,1 | 3,1 | 1,3 | 1,3 | 1,54 |
| 19.00 | 041 | უენსდი-ნორვიჩი | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| 19.00 | 042 | უოლსოლი-ლესტერი | 3,0 | 3,3 | 2,2 | 1,57 | 1,26 | 1,32 |
| 19.00 | 043 | უოტფორდი-როტერჰემი | 1,75 | 3,4 | 4,2 | 1,15 | 1,23 | 1,87 |
| 19.00 | 044 | უიმბლდონი-ბრედფორდი | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| 21.35 | 045 | ნოტინგემი-კრისტალ პალასი | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,25 | 1,81 |

**10 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 046 | რედინგი-ჯილინგემი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |

**ინგლისი**

**II დივიზიონი. XXXI ტური**

**8 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 052 | ბრენტფორდი-ქრიუ | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| 19.00 | 053 | ბრისტოლი-კოლჩესტერი | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 19.00 | 054 | კარდიფი-ბარნსლი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 055 | კარდიფი-ბარნსლი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| 19.00 | 056 | ჩელტენემი-სტოკპორტი | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |
| 19.00 | 057 | ჩესტერფილდი-პიტერბრო | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 19.00 | 058 | მენსფილდი-ნოტსი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 19.00 | 059 | ნორთჰემპტონი-ქუინს პარკი | 2,8 | 3,2 | 2,35 | 1,49 | 1,27 | 1,35 |
| 19.00 | 060 | ოლდემი-პლიმუთი | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 19.00 | 061 | პორტ ვეილი-ლუტონი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 19.00 | 062 | ტრანმერი-სუინდონი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 19.00 | 063 | უიგანი-ბლეკპული | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 19.00 | 064 | უიკომბი-ჰადერსფილდი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |

**ინგლისი. III დივიზიონი. XXXI ტური**

**8 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 070 | ბოსტონი-სკანთორპი | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| 19.00 | 071 | ბორნმუთი-რექსემი | 1,95 | 3,1 | 3,8 | 1,19 | 1,28 | 1,7 |
| 19.00 | 072 | კემბრიჯი-შრიუსბერი | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 19.00 | 073 | კარლაილი-კიდერმინსტერი | 2,4 | 3,1 | 2,8 | 1,35 | 1,29 | 1,47 |
| 19.00 | 074 | დარლინგტონი-რაშდენი | 3,0 | 3,0 | 2,35 | 1,5 | 1,31 | 1,31 |
| 19.00 | 075 | ჰარტლპული-ექსეტერი | 1,45 | 3,6 | 7,5 | 1,03 | 1,21 | 2,43 |
| | 76 | ჰარტლპული-ექსეტერი 0:1 | 2,05 | 3,2 | 2,45 | | | |
| 19.00 | 077 | ჰალი-ლინკოლნი | 1,85 | 3,1 | 4,2 | 1,15 | 1,28 | 1,78 |
| 19.00 | 078 | ლეიტონი-იორკი | 2,25 | 3,3 | 2,9 | 1,33 | 1,26 | 1,54 |
| 19.00 | 079 | მაკლსფილდი-სუონსი | 1,7 | 3,5 | 4,4 | 1,14 | 1,22 | 1,94 |
| 19.00 | 080 | როჩდეილი-ოქსფორდი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 19.00 | 081 | საუთენდი-როვერსი | 1,7 | 3,3 | 4,8 | 1,12 | 1,25 | 1,95 |
| 19.00 | 082 | ტორკი-ბერი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |

**იტალია. სერია "A". XX ტური**

**8 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 083 | უდინეზე-პიაჩენცა | 1,55 | 3,4 | 6,5 | 1,06 | 1,25 | 2,23 |
| 23.30 | 084 | იუვენტუსი-ემპოლი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 085 | იუვენტუსი-ემპოლი 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |

**9 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 086 | ბრეშა-კიევო | 2,5 | 3,0 | 2,7 | 1,36 | 1,29 | 1,42 |
| 18.00 | 087 | კომო-პარმა | 3,4 | 2,9 | 2,2 | 1,56 | 1,33 | 1,25 |
| 18.00 | 088 | ინტერი-რეჯინა | 1,2 | 5,3 | 12,5 | 1 | 1,09 | 3,72 |
| | 089 | ინტერი-რეჯინა 0:1 | 1,5 | 3,6 | 3,6 | | | |
| 18.00 | 090 | ლაციო-ტორინო | 1,3 | 4,4 | 10,0 | 1 | 1,15 | 3,05 |
| | 091 | ლაციო-ტორინო 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 18.00 | 092 | მოდენა-რომა | 3,2 | 3,0 | 2,25 | 1,54 | 1,32 | 1,28 |
| 18.00 | 093 | პერუჯა-მილანი | 3,6 | 3,1 | 2,0 | 1,66 | 1,28 | 1,21 |
| 23.30 | 094 | ბოლონია-ატალანტა | 1,65 | 3,2 | 5,6 | 1,08 | 1,27 | 2,03 |

**იტალია. სერია "B". XXII ტური**

**7 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 095 | ჯენოა-კატანია | 1,8 | 2,8 | 5,0 | 1,09 | 1,32 | 1,79 |

**9 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 096 | ასკოლი-ბარი | 1,95 | 2,7 | 4,6 | 1,13 | 1,36 | 1,7 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 097 | ლივორნო-ვერონა | 1,75 | 2,8 | 5,6 | 1,07 | 1,33 | 1,86 |
| 18.00 | 098 | მესინა-სიენა | 2,35 | 2,6 | 3,4 | 1,23 | 1,38 | 1,47 |
| 18.00 | 099 | ნაპოლი-კალიარი | 1,85 | 2,8 | 4,8 | 1,11 | 1,33 | 1,76 |
| 18.00 | 100 | პალერმო-ანკონა | 2,2 | 2,6 | 3,8 | 1,19 | 1,39 | 1,54 |
| 18.00 | 101 | ტერნანა-სალერნიტანა | 1,65 | 3,2 | 5,6 | 1,08 | 1,27 | 2;03 |
| 18.00 | 102 | ვენეცია-ტრიესტინა | 2,7 | 2,6 | 2,9 | 1,32 | 1,39 | 1,37 |
| 18.00 | 103 | ვიჩენცა-კოზენცა | 1,5 | 3,5 | 7,0 | 1,04 | 1,23 | 2,33 |
| | | **10 თებერვალი** | | | | | | |
| 23.30 | 104 | ლეჩე-სამპდორია | 2,4 | 2,5 | 3,4 | 1,22 | 1,4 | 1,44 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი. XXI ტური** | | | | | | |
| | | **8 თებერვალი** | | | | | | |
| 23.15 | 126 | ვილიარეალი-ვალიადოლიდი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 00.30 | 127 | რეალი-ბეტისი | 1,5 | 3,5 | 7,0 | 1,04 | 1,23 | 2,33 |
| | | **9 თებერვალი** | | | | | | |
| 20.00 | 128 | დეპორტივო-ოსასუნა | 1,45 | 3,6 | 7,5 | 1,03 | 1,21 | 2,43 |
| | 129 | დეპორტივო-ოსასუნა 0:1 | 2,1 | 3,2 | 2,4 | | | |
| 20.00 | 130 | მალიორკა-სელტა | 2,2 | 3,1 | 3,2 | 1,28 | 1,3 | 1,57 |
| 20.00 | 131 | რაიო-მალაგა | 2,35 | 3,0 | 3,0 | 1,31 | 1,31 | 1,5 |
| 20.00 | 132 | სოსიედადი-ესპანიოლი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 20.00 | 133 | უელვა-ვალენსია | 3,8 | 3,2 | 1,9 | 1,73 | 1,26 | 1,19 |
| 20.00 | 134 | რასინგი-ალავესი | 2,25 | 3,1 | 3,1 | 1,3 | 1,3 | 1,54 |
| 22.00 | 135 | სევილია-ატლეტიკო | 2,35 | 3,1 | 2,9 | 1,33 | 1,29 | 1,49 |
| 23.30 | 136 | ბარსელონა-ბილბაო | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| | | **ესპანეთი. II დივიზიონი. XXII ტური** | | | | | | |
| | | **8 თებერვალი** | | | | | | |
| 21.30 | 137 | ფეროლი-ლას პალმასი | 2,45 | 2,7 | 3,1 | 1,28 | 1,36 | 1,44 |
| 21.30 | 138 | კორდობა-სარაგოსა | 3,0 | 2,8 | 2,45 | 1,44 | 1,34 | 1,3 |
| | | **9 თებერვალი** | | | | | | |
| 15.00 | 139 | ლეგანესი-ბადახოსი | 1,85 | 2,9 | 4,6 | 1,12 | 1,31 | 1,77 |
| 15.00 | 140 | სერესი-ელჩე | 2,3 | 2,7 | 3,4 | 1,24 | 1,37 | 1,5 |
| 20.00 | 141 | ალბასეტე-ტერასა | 1,85 | 2,7 | 5,0 | 1,09 | 1,35 | 1,75 |
| 20.00 | 142 | სალამანკა-ალმერია | 2,05 | 2,8 | 4,0 | 1,18 | 1,35 | 1,64 |
| 20.00 | 143 | სპორტინგი-ნუმანსია | 1,75 | 2,9 | 5,3 | 1,09 | 1,31 | 1,87 |
| 20.00 | 144 | ლევანტე-ხეტაფე | 1,7 | 3,0 | 5,6 | 1,08 | 1,3 | 1,95 |
| 20.00 | 145 | მურსია-ოვიედო | 1,6 | 3,2 | 6,5 | 1,06 | 1,28 | 2,14 |
| 20.00 | 146 | ეხიდო-ეიბარი | 1,8 | 2,9 | 4,8 | 1,11 | 1,3 | 1,8 |
| 21.00 | 147 | ტენერიფე-კომპოსტელა | 1,9 | 2,8 | 4,4 | 1,13 | 1,32 | 1,71 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი. XXV ტური** | | | | | | |
| | | **6 თებერვალი** | | | | | | |
| 23.00 | 181 | სტ.ეტიენი-ტულუზი | 2,7 | 2,8 | 2,7 | 1,37 | 1,35 | 1,37 |
| | | **პორტუგალია. I ლიგა. XXI ტური** | | | | | | |
| | | **7 თებერვალი** | | | | | | |
| 01.00 | 197 | სანტა კლარა-ბოავიშტა | 2,8 | 3,2 | 2,35 | 1,49 | 1,27 | 1,35 |
| | | **8 თებერვალი** | | | | | | |
| 22.15 | 198 | ლეირია-ბენფიკა | 3,1 | 3,2 | 2,2 | 1,57 | 1,28 | 1,3 |
| 01.15 | 199 | ვარზიმი-სპორტინგი | 3,6 | 3,1 | 2,0 | 1,66 | 1,28 | 1,21 |
| | | **9 თებერვალი** | | | | | | |
| 19.00 | 200 | მორეირენსე-ბრაგა | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| 20.00 | 201 | აკადემიკა-ჟილ ვისენტე | 2,4 | 3,1 | 2,8 | 1,35 | 1,29 | 1,47 |
| 20.00 | 202 | სეტუბალი-მარიტიმუ | 2,05 | 3,3 | 3,3 | 1,26 | 1,26 | 1,64 |
| 20.00 | 203 | ნასიონალი-ბეირა მარი | 1,75 | 3,2 | 4,6 | 1,13 | 1,26 | 1,88 |
| 22.00 | 204 | ფეირეირა-ბელენენსეში | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| 00.15 | 205 | პორტუ-გიმარაეში | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 206 | პორტუ-გიმარაეში 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| | | **პორტუგალია. II ლიგა. XXI ტური** | | | | | | |
| | | **9 თებერვალი** | | | | | | |
| 19.00 | 207 | ჭამაში-სალგეიროში | 2,7 | 3,0 | 2,5 | 1,42 | 1,29 | 1,36 |
| 19.00 | 208 | ლეცა-ავეში | 2,45 | 3,0 | 2,8 | 1,34 | 1,3 | 1,44 |
| 19.00 | 209 | მარკუ-კოვილია | 1,7 | 3,3 | 4,8 | 1,12 | 1,25 | 1,95 |
| 20.00 | 210 | მადეირა-ამდორა | 2,7 | 2,9 | 2,6 | 1,39 | 1,32 | 1,37 |
| 20.00 | 211 | მაია-ფარენსე | 1,85 | 3,1 | 4,2 | 1,15 | 1,28 | 1,78 |
| 20.00 | 212 | ფელგეირაში-შავეში | 2,3 | 2,9 | 3,2 | 1,28 | 1,33 | 1,52 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 213 | პორტიმონენსე-ნავალი | 2,1 | 2,9 | 3,6 | 1,21 | 1,32 | 1,6 |
| 20.00 | 214 | პენაფიელი-ალვერკა | 2,35 | 2,9 | 3,1 | 1,29 | 1,33 | 1,49 |
| 20.00 | 215 | რიუ ავე-ოვარენსე | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი. XIX ტური** | | | | | | |
| | | **7 თებერვალი** | | | | | | |
| 23.00 | 216 | ზვოლე-ტილბურგი | 2,5 | 3,3 | 2,45 | 1,42 | 1,23 | 1,4 |
| | | **8 თებერვალი** | | | | | | |
| 22.30 | 217 | როდა-ვიტესი | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| 22.30 | 218 | ჰერენვენი-ალკმაარი | 1,7 | 3,5 | 4,4 | 1,14 | 1,22 | 1,94 |
| 22.30 | 219 | ვალვაიკი-პსვ | 4,4 | 3,5 | 1,7 | 1,94 | 1,22 | 1,14 |
| 22.30 | 220 | როზენდალი-გრააფსხაპი | 1,8 | 3,4 | 3,8 | 1,17 | 1,22 | 1,79 |
| | | **9 თებერვალი** | | | | | | |
| 16.00 | 221 | აიაქსი-ფეიენოორდი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 17.30 | 222 | ნაიმეგენი-ბრედა | 2,4 | 3,3 | 2,6 | 1,38 | 1,24 | 1,45 |
| 17.30 | 223 | უტრეხტი-ექსელსიორი | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 17.30 | 224 | გრონინგენი-ტვენტე | 2,3 | 3,3 | 2,8 | 1,35 | 1,26 | 1,51 |
| | | **ჰოლანდია. II დივიზიონი. XIX ტური** | | | | | | |
| | | **7 თებერვალი** | | | | | | |
| 23.00 | 228 | ოსი-ვეენდამი | 2,1 | 3,4 | 3,1 | 1,29 | 1,25 | 1,62 |
| 23.00 | 229 | მაასტრიხტი-ეინდჰოვენი | 2,3 | 3,4 | 2,7 | 1,37 | 1,24 | 1,5 |
| 23.00 | 230 | სიტარდი-სპარტა | 2,6 | 3,4 | 2,35 | 1,47 | 1,23 | 1,38 |
| 23.00 | 231 | ემენი-ვოლენდამი | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| 23.00 | 232 | ჰერაკლესი-ვენლო | 1,35 | 4,0 | 9,0 | 1 | 1,17 | 2,76 |
| | 233 | ჰერაკლესი-ვენლო 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| 23.00 | 234 | დენ ჰააგი-დორდრეხტი | 1,35 | 4,0 | 9,0 | 1 | 1,17 | 2,76 |
| | 235 | დენ ჰააგი-დორდრეხტი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| | | **8 თებერვალი** | | | | | | |
| 22.30 | 236 | კამბური-ჰაარლემი | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| | | **9 თებერვალი** | | | | | | |
| 17.30 | 237 | ტელსტარი-დენ ბოსხი | 2,6 | 3,3 | 2,4 | 1,45 | 1,24 | 1,38 |
| | | **10 თებერვალი** | | | | | | |
| 23.00 | 238 | ჰელმონდი-იგლსი | 2,1 | 3,4 | 3,1 | 1,29 | 1,25 | 1,62 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი. XXI ტური** | | | | | | |
| | | **7 თებერვალი** | | | | | | |
| 23.30 | 239 | გენკი-მუსკრონი | 1,6 | 3,6 | 5,0 | 1,1 | 1,21 | 2,09 |
| | | **8 თებერვალი** | | | | | | |
| 23.00 | 240 | ლუვიე-ლოკერენი | 3,1 | 3,3 | 2,15 | 1,59 | 1,26 | 1,3 |
| 23.00 | 241 | ანტვერპენი-შარლერუა | 1,55 | 3,8 | 5,3 | 1,1 | 1,19 | 2,21 |
| 23.00 | 242 | მეხელენი-ბრიუგე | 9,0 | 5,3 | 1,15 | 3,33 | 1,01 | 1 |
| 23.00 | 243 | ვესტერლო-ლიერსი | 3,1 | 3,2 | 2,2 | 1,57 | 1,28 | 1,3 |
| | | **9 თებერვალი** | | | | | | |
| 16.00 | 244 | გენტი-ანდერლეხტი | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| 18.00 | 245 | ლომელი-ბეერსხოტი | 2,35 | 3,3 | 2,7 | 1,37 | 1,25 | 1,48 |
| 18.00 | 246 | ბევერენი-სტ.ტრუიდენი | 3,8 | 3,3 | 1,85 | 1,76 | 1,24 | 1,18 |
| 18.00 | 247 | სტანდარდი-მონსი | 1,55 | 3,8 | 5,3 | 1,1 | 1,19 | 2,21 |
| | | **თურქეთი. XIX ტური** | | | | | | |
| | | **7 თებერვალი** | | | | | | |
| 22.00 | 269 | გალათასარაი-დენიზლი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 270 | გალათასარაი-დენიზლი | 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | |
| | | **8 თებერვალი** | | | | | | |
| 15.30 | 271 | გიოზთეფე-ალთაი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 15.30 | 272 | გაზიანთეფი-მალათია | 1,6 | 3,4 | 5,6 | 1,08 | 1,24 | 2,11 |
| 15.30 | 273 | ბურსა-სამსუნი | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |
| 21.00 | 274 | კოჯაელი-ბეშიქთაში | 5,0 | 3,6 | 1,6 | 2,09 | 1,21 | 1,1 |
| | | **9 თებერვალი** | | | | | | |
| 15.30 | 275 | ისთანბული-გენჩლერბირლიგი | 2,8 | 3,2 | 2,35 | 1,49 | 1,27 | 1,35 |
| 15.30 | 276 | დიარბაქირი-ადანა | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |
| 15.30 | 277 | ტრაბზონი-ელაზიგი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 278 | ტრაბზონი-ელაზიგი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| 21.00 | 279 | ანკარაგიუჯიუ-ფენერბაჩე | 3,1 | 3,2 | 2,25 | 1,57 | 1,3 | 1,32 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა. XXVI ტური** | | | | | | |
| | | **8 თებერვალი** | | | | | | |
| 16.30 | 280 | დანფერმლაინი-რეინჯერსი | 7,5 | 4,0 | 1,4 | 2,6 | 1,17 | 1,03 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 281 | აბერდინი-პარტიკი | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |
| 19.00 | 282 | ჰარტსი-კილმარნოკი | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| 19.00 | 283 | მოხერ'უელი-ჰიბერნიანი | 2,6 | 3,2 | 2,45 | 1,43 | 1,26 | 1,38 |
| | | **9 თებერვალი** | | | | | | |
| 19.00 | 284 | სელტიკი-ლივინგსტონი | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| | 285 | სელტიკი-ლივინგსტონი 0:1 | 1,4 | 3,8 | 4,2 | | | |
| 19.00 | 286 | დანდი იუნაიტედი-დანდი | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,29 | 1,39 |
| | | **იტალია. თასი** | | | | | | |
| | | **½ ფინალი. I ეტაპი** | | | | | | |
| | | **6 თებერვალი** | | | | | | |
| 24.00 | 317 | პერუჯა-მილანი | 2,8 | 3,1 | 2,4 | 1,47 | 1,29 | 1,35 |
| | | **ესპანეთი. თასი** | | | | | | |
| | | **½ ფინალი. I ეტაპი** | | | | | | |
| | | **6 თებერვალი** | | | | | | |
| 00.30 | 319 | უელვა-ოსასუნა | 2,35 | 3,0 | 3,0 | 1,31 | 1,31 | 1,5 |
| | | **შოტლანდია. თასი. III წრე. გადათამაშება** | | | | | | |
| | | **10 თებერვალი** | | | | | | |
| 23.30 | 333 | სტრანრარი-ფორფარი | 2,2 | 3,4 | 2,9 | 1,33 | 1,25 | 1,56 |
| | | **შოტლანდია. ლიგის თასი** | | | | | | |
| | | **½ ფინალი. (ნეიტრალურზე)** | | | | | | |
| | | **6 თებერვალი** | | | | | | |
| 24.00 | 339 | სელტიკი-დანდი იუნაიტედი | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| | | **ლიბერტადორესის თასი** | | | | | | |
| | | **6 თებერვალი** | | | | | | |
| 02.05 | 344 | ბარსელონა-კოლო კოლო | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 04.10 | 345 | სერო პორტენიო-კატოლიკა | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |

## ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

**08.02 18.30 2601 გერმანია ბლ. (XX ტური)**
**25 ან ნაკლები – 1,9, 27 ან მეტი – 1,9**
**08.02 16.30 2602 ინგლისი პლ. (XXVII ტური)**
**25 ან ნაკლები – 1,9, 27 ან მეტი – 1,9**
**08.02 21.00 2603 იტალია "A" (XX ტური)**
**23 ან ნაკლები – 1,9, 25 ან მეტი – 1,9**
**08.02 23.15 2604 ესპანეთი Iდ. (XXI ტური)**
**25 ან ნაკლები – 1,9, 27 ან მეტი – 1,9**
**08.02 20.15 2606 საფრანგეთი Iდ. (XXVII ტური)**
**22 ან ნაკლები – 1,9, 24 ან მეტი – 1,9**
**07.02 01.00 2607 პორტუგალია Iლ. (XXI ტური)**
**23 ან ნაკლები – 1,9, 25 ან მეტი – 1,9**
**07.02 23.00 2608 ჰოლანდია (XIX ტური)**
**25 ან ნაკლები – 1,9, 27 ან მეტი – 1,9**
**07.02 23.30 2609 ბელგია Iდ. (XXI ტური)**
**26 ან ნაკლები – 1,9, 28 ან მეტი – 1,9**
**07.02 22.00 2610 თურქეთი (XIX ტური)**
**26 ან ნაკლები – 1,9, 28 ან მეტი – 1,9**


# სამ თბილისურ ბიუროში

კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი № 3;

ვაჟა ფშაველას გამზირი №46
(მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან",
ყოფილი „დელისი");

დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ
რობაქიძის გამზირი, 1ª კორპუსი

კროკომ უქმეებზე სამუშაო დრო გაახანგრძლივა

**შაბათი 12.00–21.30 კვირა 12.00–20.30**


# კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

## ჩემპიონები და თასის აღება

**ჩემპიონთა თასი**
**18 თებერვალი (23.45)**

| | | |
|---|---|---|
| 001 | რეალი | 5,0 |
| 002 | მანჩესტერი | 5,0 |
| 003 | მილანი | 5,0 |
| 004 | არსენალი | 6,0 |
| 005 | იუვენტუსი | 7,0 |
| 006 | ბარსელონა | 7,0 |
| 007 | ინტერი | 7,0 |
| 008 | ვალენსია | 8,0 |
| 009 | დეპორტივო | 20,0 |
| 010 | დორტმუნდი | 20,0 |
| 011 | აიაქსი | 25,0 |
| 012 | რომა | 40,0 |
| 013 | ლევერკუზენი | 75,0 |
| 014 | ნიუკასლი | 75,0 |
| 015 | ლოკომოტივი | 250,0 |
| 016 | ბაზელი | 500,0 |

**უეფას თასი**
**20 თებერვალი (21.15)**

| | | |
|---|---|---|
| 021 | ლაციო | 3,0 |
| 022 | ლივერპული | 3,0 |
| 023 | ჰერტა | 8,0 |
| 024 | პორტუ | 10,0 |
| 025 | სელტიკი | 10,0 |
| 026 | მალაგა | 10,0 |
| 027 | პანათინაიკოსი | 15,0 |
| 028 | ოსერი | 15,0 |
| 029 | შტუტგარტი | 15,0 |
| 030 | ანდერლეხტი | 15,0 |
| 031 | აეკ | 15,0 |
| 032 | ბეშიქთაში | 20,0 |
| 033 | სლავია | 30,0 |
| 034 | ბოავიშტა | 30,0 |
| 035 | დენიზლი | 50,0 |
| 036 | ვისლა | 50,0 |

**შვეიცარია. A ლიგა**
**22 თებერვალი (17.30)**

| | | |
|---|---|---|
| 161 | ბაზელი | 1,6 |
| 162 | გრასჰოპერი | 2,0 |

**ავსტრია. ბუნდესლიგა**
**22 თებერვალი (18.30)**

| | | |
|---|---|---|
| 171 | აუსტრია | 1,01 |
| 172 | შტურმი | 15,0 |
| 173 | რაპიდი | 15,0 |
| 174 | პაშინგი | 15,0 |

**რომელი ქვეყნის**
**კლუბი აიღებს**
**ჩემპიონთა თასს**
**18 თებერვალი (23.45)**

| | | |
|---|---|---|
| 181 | ესპანეთი | 2,0 |
| 182 | ინგლისი | 2,5 |
| 183 | იტალია | 2,5 |
| 184 | გერმანია | 15,0 |


სარბიელი
სპორტული ლატარია
CROCO
BOOKMAKERS
კროკო

*ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.*


## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | აღმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | ნინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ქავთარაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა № 13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ª კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „რიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ქავთარაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი № 11 | წმინდანელის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა № 14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | მარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერის ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ქავთარაძის ქუჩა № 113 | |
| | აღმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ქავთარაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | აღმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| ცნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| ქობულეთი | სასტუმრო „ივერიის" მიმდებარე ტერიტორია | |
| სარფი | საბაჟო პუნქტის პირდაპირ | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ორი სამყარო

# ეს უპასუხისმგებლობაა! სუდია, შენი დედა...

4 თებერვალი

**დენვერი 102:100 ჩიკაგო**

ძირითადი დრო 91:91

**დენვერი:** ჰარინგტონი (3), იარბრო (5), ჰოვარდი (30), ჰარვი (6), ილარიო (19); ვაიტი (12), ვიტნი (18), ბოუენი, მ. ბლუნტი (3), ანდერსენი (6), ცქიტიშვილი (7 წუთი, 2 მოხსნა)

**ჩიკაგო:** კროუფორდი (14), ჰასელი (5), როუზი (20), მარშალი (21), ჩანდლერი (6); რობინსონი (7), კ. ბლუნტი (2), უილიამსი (10), კარი (13), ჰოიბერგი (2)

**დალასი 109:110 საკრამენტო**

**დალასი:** ნოვიცკი (28), ფინლი (28)
**საკრამენტო:** ბიბი (27), სტოიაკოვიჩი (24)

**ინდიანა 94:97 ლეიკერსი**

**ინდიანა:** ჯ. ონილი (23 ქულა, 20 მოხსნა), ჰარინგტონი (22)
**ლეიკერსი:** ბრაიანტი (35), შ. ონილი (18)

**ნიუ იორკი 105:92 კლიპერსი**

**ნიუ იორკი:** სპრიუელი (38), ჰიუსტონი (20)
**კლიპერსი:** რიჩარდსონი (19), მაჯიტი (19)

**ორლანდო 89:96 პორტლენდი**

**ორლანდო:** ჰილი (25 ქულა, 17 მოხსნა, 7პასი)
**პორტლენდი:** მაკგრეიდი (24), მილერი (20)

**მილუოკი 92:98 ტორონტო**

**მილუოკი:** რედი (24), ალენი (21)
**ტორონტო:** კარტერი (25), დევისი (16)

**ვაშინგტონი 93:86 კლივლენდი**

**ვაშინგტონი:** ჯორდანი (27), ლუ (15)
**კლივლენდი:** ვაგნერი (19), ილგაუსკასი (18)

**მინესოტა 103:89 ჰიუსტონი**

**მინესოტა:** გარნეტი (23 ქულა, 11 მოხსნა, 9 პასი)
**ჰიუსტონი:** ფრენსისი (31), მობლი (17)

წყალწაღებულ „დენვერს" ხავსად „ჩიკაგო ბულზი" გამოუჩნდა. ბოლო რვა მატჩიდან შვიდის წამგებმა დენვერელებმა როგორც იქნა, იმარჯვეს და თუ კიდევ შეიძლება მათ ნაჩუქზე ლაპარაკი, დიდ სირცხვილს ასცდნენ. „დენვერს" გასვლითი მატჩების ძიხედვით ნბა-ს მაჩანჩალა სტუმრობდა — წლეულს „ჩიკაგო" მასპინძელთა „ცუნცულაა" და სეზონში 27 შეხვედრიდან 25-ჯერ თავდახრილი დატოვებია უცხო ქალაქი.

სტუმრად ულაჯობის მიუხედავად „ჩიკაგოს" ყოჩაღ ეჭირა თავი „პეპსი სენტერში", „დენვერს" გოლს არ უთმობდა. სტუმარი გამარჯვებასაც იმსახურებდა, მაგრამ მსაჯთა მიკერძოებისა თუ შეცდომის მიზეზით ოვერტაიმში გადაყვანილი მატჩი ნიკა ცქიტიშვილის გუნდმა მოიგო. თავად ცქიტიშვილს, რომელმაც შაპის „დალასთან" თავი ისახელა, ამჯერად ხეირიანი არაფერი გაუკეთებია.

„რა ნამუსით თვლი სამქულიანს! ეს უპასუხისმგებლობაა" — უსაყვედურა მსაჯ ბილ სპუნერს „ჩიკაგოს" გამწარებულმა მწვრთნელმა ბილ კარტრაიტმა. დენვერელმა კრის ვიტნიმ ძირითადი დროის დასრულებამდე 2,5 წამით ადრე საეჭვო სამქულიანით თამაში ოვერტაიმში გადაიყვანა. ვიდეოგამეორებაზე მთლად გარკვევით არ ჩანდა, დააბიჯა თუ არა ვიტნიმ ნიშნულს ფეხი. მსაჯმა მაინც ჩათვალა სამქულიანი.

კრისს რომ ვერ ჩაეგდო, ვინძლო მწარედ ენანა, რადგან დენვერელებმა შეტევა რომ წამოიწყეს სადინალო სირენამდე 13 წამი რჩებოდა და მათი მწვრთნელის ჯეფ ბზდელიკის აზრით, ჯერ არ იყო სამქულიანის სროლის აუცილებლობა: „მე წუთმესვეტებები აღარ მქონდა, ბიჭებს ვუყვიროდი, ორქულიანი ესროლათ და უმალ დაჯარიმებულიყვნენ. თუ „ჩიკაგო" ერთ საჯარიმოს მაინც ააცილებდა, ორქულიანი დეფიციტი და ხუთიოდე წამი გვრჩებოდა შესატევად, თუ არადა სამქულიანის სასროლად მაინც გვეყოფოდა დრო." ვიტნიმ, ეტყობა, ვერ გაიგონა ბზდელიკის ყვირილი, დრიბლინგით დრო გაიყვანა და...

ოვერტაიმში უკვე მასპინძელმა როდნი ვაიტმა ისახელა თავი, თუმცა საკვანძო ეპიზოდში ჯალენ როუზისგან აწაპნილი ბურთი ახალბედა ლორინზა ჰარინგტონმა ჩააგდო და „დენვერმა" ზედიზედ მეორე გამარჯვება იზეიმა, რაც ამ სეზონში ერთხელ, 8 და 10 იანვრის მატჩებში მოუხერხებინა.

დღის მთავარი მოვლენა დალასში მოხდა, სადაც დასავლეთ კონფერენციის ბობოლები სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეებნენ. „მავერიკსსა" და „საკრამენტოს" ერთმანეთთან განსაკუთრებული ანგარიშები აქვთ. კალიფორნიელები ტეხასელებს უკიჟინებენ, თქვენი პირველობა ვერაფერი ბედენაა, სადაც შეგხვდებით, იქ მოგიგებთო და უსრულებენ კიდეც. აკი ამ სეზონში მეორედ შეეყარნენ და მეორედვე შეარცხვინეს. არადა, საკრამენტოელებს ბოლო ექვსიდან ხუთი შეხვედრა წაეგოთ და საერთოდ, მათ მუდამ რომელიღაც ხუთეულელი ყავთ ტრავმირებული. ამჯერად „მეფეებს" ლიდერი კრის ვებერი აკლდათ. „მავერიკსი" კი პირიქით, მცირე ჩავარდნის შემდეგ მყარ რელსებზე შემდგარა და ბოლო ცხრა მატჩიდან რვა მოუგია. თუმც ეს ორი გუნდი რომ თამაშობს, ვინ როგორ ფორმაშია, მნიშვნელობა არ აქვს, ბრძოლა ბოლომდეა და დაუნდობელი. ახლაც ასე იყო, მეტოქეებმა შეუპოვრად იბურთავეს და მატჩის ბედი ერთმა, მოხდენილად ჩაგდებულმა ბურთმა გადაწყვიტა. ჰედო თურქოღლუს აცილებული სამქულიანი ჰაერში მოხსნა მისმა თანაგუნდელმა კეონ კლერკმა და ერთი მოძრაობით ჩაუტენა დალასელებს. ტეხასელი დირკ ნოვიცკი დარჩენილ წამებში ამაოდ დაშვრა.

ბობოლებზე საუბრისას ალბათ მალე მოგვიწევს მივიწყებული „ლეიკერსის" ხსენებაც. ნბა-ს ეს ბოლო წლების გველეშაპი თანდათან იბრუნებს ძველ სახეს. გუშინწინ კალიფორნიელებმა მოგება-წაგებები გაითანაბრეს, ბოლო 16 მატჩიდან 12 მოიგეს და თუ მათ ძლეულთაგან ბევრი ლიფსიტაა, ამჯერად ჩემპიონთა ბადეს მაღალი ლოქო ამოჰყვა. „ლეიკერსმა" სტუმრად იძალა აღმოსავლეთის უსტაბაშ „ინდიანაზე" და ამ მატჩში კობი ბრაიანტი ზედიზედ მეოთხედ ასცდა 30-ქულიან ზღვარს, მისმა ძმაკაცმა მთაშაკმა კი იქვა, თუ ასე ვითამაშებთ, ვერავინ შეგვაჩერებსო... მგონი მართლა გაიღვიძა გველეშაპმა.

იშტაზეა მინესოტელი კევინ გარნეტი. ბოლო მატჩებია, „მფრინავი მგელი" სამმაგ დუბლს უტრიალებს, თუმც ვერ შეუსრულებია. „ჰიუსტონთან" მატჩში მას მიზნამდე კინკილა პასი დააკლდა, „მგლებმა" კი ისევ იმარჯვეს.

გარნეტს არც მეორე ოლსტარელი ვინს კარტერი ჩამორჩება. ტრავმით გატანჯული კარტერი საბოლოოდ გამოჯანმრთელდა და მის არყოფნაში ცხრილში ჩაყურყუმალავებულ „ტორონტოს" ზემოთ ექაჩება. კანადელმა „ტირანოზავრებმა" მილუოკიში „ხარირმების" დამარცხებით საგმირო საქმე ჰქმნეს, რისი მთავარშემოქმედიც სწორედ ვინს კარტერია.

ერთი ოლსტარელის ამბავიც: მაიკლ ჯორდანმა „კლივლენდთან" მატჩში თავისი საქმეც აკეთა და სხვისიც. „ვიზარდსის" ერთ-ერთი ლიდერი ჯერი სტექჰაუსი მეორე თამაშია, ტრავმას მკურნალობს და ცოცხალ ლეგენდას, რომელიც ორ კვირაში ორმოცი წლის გახდება, დიდი ჯაფა დაადგა უსუსტესი „კლივლენდის" მოსარჯულებლად. ჯორდანმა 43 წუთი ირბინა, „კავალერზს" 27 ქულა ჩაუგდო და „ვაშინგტონს" გაამარჯვებინა.

**ირაკლი ბერტაია**



მოხუცმა პორტლენდელმა სკოტი პიპენმა სისხლსავსე ტრეისი მაკგრეიდის ყურებზე ხახვი დააჭრა

REUTERS

**აღმოსავლეთის კონფერენცია**

| ატლანტის დივიზიონი | | | |
|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი | 33 | 15 | 68,8 |
| ბოსტონი | 26 | 22 | 54,2 |
| ფილადელფია | 25 | 23 | 52,1 |
| ვაშინგტონი | 24 | 25 | 49,0 |
| ორლანდო | 24 | 26 | 48,0 |
| ნიუ იორკი | 21 | 26 | 44,7 |
| მაიამი | 17 | 31 | 35,5 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| ინდიანა | 34 | 15 | 69,4 |
| დეტროიტი | 31 | 15 | 67,4 |
| მილუოკი | 24 | 23 | 51,1 |
| ნიუ ორლეანი | 25 | 24 | 51,0 |
| ატლანტა | 19 | 30 | 38,8 |
| ჩიკაგო | 17 | 32 | 34,7 |
| ტორონტო | 14 | 34 | 29,2 |
| კლივლენდი | 9 | 40 | 18,4 |

**დასავლეთის კონფერენცია**

| შუა დასავლეთის დივიზიონი | | | |
|---|---|---|---|
| დალასი | 38 | 10 | 79,2 |
| სან ანტონიო | 31 | 16 | 66,0 |
| მინესოტა | 29 | 20 | 59,2 |
| იუტა | 28 | 20 | 58,3 |
| ჰიუსტონი | 26 | 21 | 55,3 |
| მემფისი | 13 | 34 | 27,7 |
| დენვერი | 12 | 36 | 25,0 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| საკრამენტო | 34 | 16 | 68,0 |
| პორტლენდი | 31 | 16 | 66,0 |
| ფინიქსი | 29 | 21 | 58,0 |
| ლეიკერსი | 23 | 23 | 50,0 |
| სიეტლი | 21 | 25 | 45,7 |
| გოლდენ სტეიტი | 21 | 26 | 44,7 |
| კლიპერსი | 17 | 31 | 35,4 |



*2002-03 წლების რეგულარული ჩემპიონატი ეკვატორს გასცდა, გუნდებმა თამაშების ნახევარზე მეტი მოილიეს და მცოდნე ხალხს პროგნოზების გამოთქმის სურვილი აღუძრეს. მთავარი კითხვა ბანალური, თუმცა აქტუალურია: ვინ გახდება ჩემპიონი? ამ კითხვაზე წინასწარი პასუხი, ცხადია, არ არსებობს, თუმცაღა სეზონის ამ ეტაპზე გამოიკვეთა ბობოლათა ის ჯგუფი, სადაც მომავალი ჩემპიონი, ყველა სხვისდარად, ოფლს ღვრის.*



# საკრამენტო ტრავმებს თუ გადაურჩა, საკრამენტოს ვერავინ გადაურჩება

მაშ, ვინ გახდება ჩემპიონი? შესაძლოა, ოქროს მედლები კვლავ ლეიკერსელებმა დაიკიდონ. იქნებ რომელიმე აღმოსავლელსაც გაუღიმოს ბედმა, მაგრამ დღეს სხვები უფრო ახენენ მათ ფავორიტებად შერაცხვის სურვილს, რაკი ბოლო სამი პლეიოფის მომგები „ლეიკერსი" ერთგვარად მერყეობს. რაც შეეხებათ აღმოსავლელებს, ისინი 1998 წლის, ანუ დიდი „ჩიკაგოს" დაშლის შემდეგ ფინალში მხოლოდ აგებენ.

ფავორიტები კი ესენი არიან — „დალას მავერიკსი" და „საკრამენტო კინგზი".

სადღეისო ჯამური შედეგებით „დალასი" ყველა სხვას უსწრებს. ტეხასელთა თავკაცების, მამა-შვილ ნელსონების განკარგულებაშია ნაციონალურ-ინტერნაციონალური თანავარსკვლავედი, გადასარევი ბიჭები ევროპიდან, შტატებიდან და უშტატო ამერიკიდან (მექსიკა, კანადა). ამათი მეოხებით „მავერიკსმა" სეზონის გარიჟრაჟზე მიჯრით 14 თამაში მოიგო და დღემდე ამაყად ყელყელაობს ზოგადნბური ცხრილის კენწეროში.

კარგი გუნდია „დალასი", მაგრამ უძლეველობის ილუზიასაც ვერ უქმნის სკეპტიკოსებს, რომლებიც ამ კლუბის ნბა-ში გაწევრიანებიდან, 1979 წლიდან, ამაოდ ელიან სერიოზულ წარმატებებს.

დიახ, ცოტას აგებს „მავერიკსი", სამაგიეროდ, ამ ცოტაში წერიან პრინციპული მეტოქეები — „საკრამენტო", „სან ანტონიო" „ლეიკერსი"...

„საკრამენტო კინგზმა" გუშინწინაც დაამარცხა „დალასი", ამ სეზონში უკვე მეორედ და მის ფავორიტობას წყალი შეუყენა. არადა, სრულ საბრძოლო მზადყოფნაში მყოფ „მავერიკსისგან" განსხვავებით, აკლდა წამყვანი მოთამაშეები, ყოჩი კრის ვებერი, მისი შემცვლელი სკოტ პოლარდი და ვებერის შემდეგ გუნდის მეორე მეჭულე ბობი ჯეკსონი.

„თუ ტრავმებმა არ შეაწუხა, „საკრამენტო" აუცილებლად გახდება ჩემპიონი. გარდა იმისა, რომ ყველაზე ლამაზ კალათბურთს თამაშობს, ამ გუნდს არც პრაგმატიზმი აკლია, ყოველმხრივ გამართული და მოწესრიგებულია. ერთადერთი, რაც „კინგზს" აფერხებს, ეს ხშირი ტრავმებია" — „მეფეებს" ობიექტურ ხოტბას ასხამს წარსულის სახელგანთქმული მწვრთნელი, აწ კი ნბა-ს მატჩების პოპულარული ტელეწამყვანი ჯეკ რამზი.

რეგულარულ ჩემპიონატად წოდებული ექვსთვიანი მარათონი იმდენად გადატვირთულია თამაშებით, რომ ერთეულ გუნდებს უღიმით ბედი და არ აწუხებთ ტრავმები. ბევრს ემტვრევა პირველ თუ მეორეხარისხოვანი მოთამაშეები და, ცხადია, ეს მათ თამაშზე გავლენას ახდენს, მაგრამ „საკრამენტო" ამ მხრივ სასწაულებს აცხობს.

მხრის ოპერაციის გადამკიდე მაიკ ბიბიმ, „კინგზის" მთავარმა უკანახაზელმა, სეზონის პირველი 27 თამაში გამოტოვა. ის დეკემბრის მიწურულს გამოვიდა მოედანზე და მის შემცვლელ ბობი ჯეკსონთან ხეირიანად შეთამაშებულიც არ იყო, რომ ჯეკსონმა მაჯა მოიტეხა. კრის ვებერი ამ ერთი კვირის წინ დაიმტვრა და კიდევ ორი კვირით ვერაფრით დაეხმარება თავისიანებს. ტრავმებმა სხვებსაც გაჰკრა კბილი. მოკლედ რომ მოვჭრათ, „საკრამენტოს" რვა წამყვანი მოთამაშიდან მხოლოდ ვლადე დივაცი და დუგ კრისტი გადარჩნენ საღ-სალამათად, სხვების ამბავს კი ქვემოთ იხილავთ.

და ყოველივე ამის მიუხედავად, „საკრამენტო" მაინც თამაშობს, იგებს მატჩებს. „დალასთან" შეხვედრის წინ საკმაოდ შეთხელებულ გუნდს საგანგებო სიტყვით მიმართა მწვრთნელმა რიკ ადელმანმა — „არსებობს სამი მიზეზი, რის გამოც უნდა წააგოთ ეს შეხვედრა — თქვენ ცუდ ფორმაში ხართ, თქვენ კარგ გუნდს ეთამაშებით და მესამეც, თქვენ კარგ გუნდს ნახევარი გუნდით ეთამაშებით. ამის მიუხედავად, მაინც ითამაშებთ და მოიგებთ." და „საკრამენტო კინგზმა" მოუგო „დალასს", სამარქაფო მოთამაშემ კეონ კლერკმა ბოლო წამებზე და 108:109 ანგარიშზე ჩაუტენა ბურთი მეტოქეს.

ვერ მოვყვებით იმის მტკიცებას, რომ ეს გუნდი ყველს გადაუვლის თუ ტრავმებს გადაურჩა, მაგრამ ერთი ვთქვათ, საკრამენტოელი „მეფეები" იმსახურებენ გამეფებას.

**ირაკლი ფირცხალავა**

**საკრამენტოელები და ტრავმები**

**მაიკ ბიბიმ მხრის ტრავმის გამო გამოტოვა 27 თამაში**

| | | |
|---|---|---|
| ბობი ჯეკსონი | მაჯა | 20 |
| კრის ვებერი | კოჭი | 9 |
| სკოტ პოლარდი | ზურგი, ხელი | 45 |
| პრედრაგ სტოიაკოვიჩი | მუხლი | 10 |
| ჰიდაიეთ თურქოღლუ | თეძო | 10 |

## საქართველოს თასი 2003
### რუსთავი. 3-8 თებერვალი

| A ჯგუფი | B ჯგუფი |
|---|---|
| დინამო 79:68 თსუ | აზოტი 93:84 ბასკო |
| სტუ 110:84 სსუ | მაკაბი 104:94 აკადემია |

თასის სამი ნახევარფინალისტი ცნობილია: სტუ, „დინამო“ და „აზოტი“. ამ სამეულს დღეს ალბათ ბათუმის „ბასკოც“ შეუერთდება. ზღვისპირელები თბილისის „მაკაბის“ ხვდებიან და სავარაუდოდ დაამარცხებენ კიდეც.

გუშინდელი შეხვედრებიდან ორი იყო გამორჩეული. „დინამო“ — თსუ-ს მატჩში A ჯგუფიდან გამსვლელი მეორე ნახევარფინალისტის ვინაობა ირკვეოდა. სტუ-ს ეს ორივე დაემარცხებინა, რითაც ჯგუფში პირველი ადგილი დაეჯავშნა. დინამოელებმა არცთუ იოლად იმარჯვეს და ნახევარფინალში B ჯგუფის გამარჯვებულ „აზოტს“ შეხვდებიან.

„აზოტმა“ კი გუშინ ბათუმელთა დამარცხებით გაინაღდა B ჯგუფში პირველობა. აღსანიშნავია რუსთაველთა ლიდერ რამაზ გოგობერიშვილის 46 ქულა, რაც ამ მატჩში ქვემოქართლელთა მონაგარის ნახევარია. როგორც ვთქვით, B ჯგუფში მეორე ადგილზე გასულის ვინაობას დღევანდელი „ბასკო“ — „მაკაბი“ გაარკვევს: გამარჯვებული ხვალ სტუ-ს შეხვდება ნახევარფინალში.



# დე ვილერი სისხლით არც ფრანგია და არც სუფთა


REUTERS

პიტერ დე ვილერი

**საფრანგეთის ნაკრებისა** და „სტად ფრანსეს“ მორკინალმა პიტერ დე ვილერმა დოპინგტესტი ჩააფლავა.

ტომით სამხრეთაფრიკელ დე ვილერის სისხლში ნანდროლინის კვალი აღმოაჩინეს. პირველი ტესტი დე ვილერს შარშან, 18 დეკემბერს ჩაუტარდა, როცა ევროპის საკლუბო თასზე მისი „სტად ფრანსე“ ლონდონის „ჰარლექუინზს“ ეთამაშებოდა. მაშინ მის გარდა კიდევ 30 მორაგბე შეამოწმეს, მაგრამ მხოლოდ იგი ჩავარდა.

განმეორებითმა ტესტმა გუშინ პირველის შედეგი დაამტკიცა და პასუხი საფრანგეთის რაგბის ფედერაციას ეცნობა.

დე ვილერი ფარ-ხმალის დყრას არ აპირებს და კიდევ ერთ ტესტირებას ითხოვს. მანამდე კი იგი უეჭველად გამოტოვებს ექვსი ერის პირველ მატჩს ინგლისთან. „15 თებერვალს პიტერი „თვიქენჰემზე“ არ ითამაშებს. ასე სამართლიანი იქნება რაგბის არსიდან და სულიდან გამომდინარე ეს ყველაზე მართებული გადაწყვეტილებაა“ — განაცხადა საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელმა ბერნარ ლაპორტმა.

„შოკირებული ვარ, გავიგე, რომ დოპინგტესტი ჩავაგდე მერწმუნეთ, რაღაც გაუგებრობაა. ჩემ სიმართლეს დავამტკიცებ, მე სუფთა ვარ“ — ამბობს დე ვილერი.

დე ვილერი 1995 წელს სამხრეთ აფრიკიდან ლაპორტის პროტექციით გადმობარგდა ევროპაში და პარიზის „სტად ფრანსეში“ გააგრძელა კარიერა. 1999 წელს ლაპორტისვე რჩევით, პიტერმა საფრანგეთის მოქალაქეობა მიიღო და ნაკრებშიც მიიწვიეს. 30 წლის დე ვილერს „მამლების“ ლურჯი მაისური 29-ჯერ სცმია.

# ლომუმ ძუ მოიძულა

**ახალზელანდიელი** მთაკაცი ჯონა ლომუ აღარაა „ოლ ბლექსის“ უპირველესი ვარსკვლავი. მეტიც, კარგა ხანია, სამატჩო 22-კაციან განაცხადშიც კი იშვიათად ხვდება. თითქოს ეს არ ეყოფოდა, ლომუს ქვა აღმართში მიეწია, 27 წლის გოლიათის პრობლემები მოედნის გარეთაც მიეძალა. იგი თავის საცოლეს, 24 წლის ტეინა სთეისს დაშორდა.

ლომუ და ტეინა ოთხი წელი ერთად ცხოვრობდნენ და გაზაფხულზე დაქორწინებასაც აპირებდნენ, მაგრამ...

„ტეინა განსაკუთრებული გოგოა, იგი ძალიან ლამაზი და არაჩვეულებრივი პიროვნებაა. თავადაც ვერ გავარკვიე, რა მოხდა, თითქოს ერთმანეთისადმი გრძნობები გაგვიცივდა. ერთ მშვენიერ დილას გავიღვიძე და მივხვდი, ტეინა ის ქალი არაა, ვისთანაც ცხოვრების ბოლომდე ბედნიერი ვიქნები“ — ლომუმ გული გადაუშალა ერთ-ერთ ახალზელანდიურ ჟურნალს.

ტაბლოიდები მიდგნენ-მოდგნენ და წყვილის დაშორების მიზეზს შორეულ ბრიტანეთში მიაგნეს. მიზეზი ლონდონში მცხოვრები 30 წლის ინგლისელი ლამაზმანი ფიონა ტეილორი აღმოჩნდა. სამი წლის წინ ფიონა ოკლენდის ერთ-ერთი მარკეტინგული ფირმის აღმასრულებელი დირექტორი იყო. სწორედ მაშინ გაიცნეს ფიონამ და ჯონამ ერთმანეთი საერთო მეგობრის წვეულებაზე. ფიონა მალევე დაბრუნდა ლონდონში და ჯონას კარგა ხანია აღარ შეხვედრია.

შარშან შემოდგომაზე ახალი ზელანდიის ნაკრებმა ევროტურნე მოაწყო. „ოლ ბლექსმა“ ინგლისშიც შეიარა და იქაურებს ტესტი გაუმართა. ნამატჩევს ლომუმ ძველი ნაცნობი ფიონა ტეილორი მოინახულა. „დავინახე, როგორ გამოვიდა ერთი ბრგე, მულატი ბიჭი ტეილორის ბინიდან. დილის ასე 7-8 საათი იქნებოდა“ — ამბობს ფიონას ინკოგნიტო მეზობელი.

ისევ ლომუ: „დაანებონ ფიონას თავი. მასთან არანაირი ახლო ურთიერთობა არ მქონია. ჩვენ მხოლოდ ძველი ნაცნობები ვართ.“

ჯონა აღაშფოთა იმ ამბავმა, რომ ჟურნალისტებმა ალყაში მოაქციეს ფიონას სახლი და ყველანაირად ცდილობდნენ, ლომუს სავარაუდო საყვარელს რაიმე ათქმევინონ.

ფიონა ტეილორი ჯერჯერობით დუმს.

**ბაჩო სვანიძე**






# ჭოპორტის კაზანოვა


REUTERS

მირიამ კაზანოვა

**OPEN GAZ DE FRANCE**

**პარიზი. ჰარდი**

**საპრიზო 585 ათასი $**

**პირველი წრე**

**ტინა პისნიკი** (სლოვენია) — პატი შნიდერი (5, შვეიცარია) 6:3, 6:3; **რიტა გრანდე** (იტალია) — სილვია ფარინა ელია (6, იტალია) 6:3, 1:6, 7:5; **ელენი დანილიდუ** (8, საბერძნეთი) — ალექსანდრა სტივენსონი (აშშ) 6:3, 7:5; **ელენა დემენტიევა** (რუსეთი) — დენიზა ხლადკოვა (ჩეხეთი) 6:4, 6:3; **მირიამ კაზანოვა** (შვეიცარია) — ბარბარა შეტი (ავსტრია) 4:6, 7:5, 6:3; **აი სუგიამა** (იაპონია) — ნატალი დეში (საფრანგეთი) 6:2, 6:4

ფრანგთა იმედებს პარიზის ჭერქვეშა პირველობის ჯილდოსა და მეჯილდოვისთვის კუთვნილი 93 ათასი დოლარის შინვე დატოვების თაობაზე გუშინ სენის წყალი შეუდგა — ნატალი დეშიმ აი სუგიამასთან დათმო, ხოლო ამელი მორესმომ განაცხადა, რომ მტკივანი საზარდული ბოლომდე ჯერაც არ დასცხრომია და ან ითამაშებს, ან — არა.

ეს ჯანიანი ლესბოსელი, ვისაც ტურნირზე 2001 წელს უპირველია, სხვა მთავართხეულებთან — სერენა უილიამსთან, დანიელა ჰანტუხოვასა და ელენა დოკიჩთან ერთად საქმეში დღეს უნდა ჩაერთოს. თუკი ტრავმა გაუყუჩდა და კორტზე გასვლა შეძლო, იქ დეშის მაწყობარ სუგიამას შეეჯახება.

შეგახსენებთ, რომ მორესმოს შემოდგომის შემდეგ მუხლი აწუხებდა და ამის გამო იყო, ავსტრალიის ღია პირველობის გამოტოვება რომ არჩია.

სხვაფრივ:

პირველ წრეს სხვებთან ერთად ბობოლათა მომდევნოდ განთესილები — პატი შნიდერი (5) და სილვია ფარინა ელიაც (6) შეეწირენ. შნიდერის უბუთხუზესმა თვისტომმა მირიამ კაზანოვამ კი ავსტრიელი ბარბარა შეტი აიტა.

17 წლის კაზანოვა, რომლის დანახვაზეც კაცს ქალმჯობინეზე მეტად თურაშაულის ვაშლი, ჭოპორტის პომიდორი ანაც აბანოეთური გოჭუნა გაახსენდება, დღეს სერენა უილიამსს უნდა გადაეყაროს. სერენა ტურნირის 1999 წლის მოხარია და მელბურნული გმირობის შემდეგ ისეთ იმპტაზეა, კაზანოვას კი არა, ნებისმიერ მეტოქეს გაბრიელებს. დოკიჩის ბოლოდროინდელ უხასიათობათა გათვალისწინებით, მას იქ მხოლოდ დანიელა ჰანტუხოვა თუ გაუღავება.

# ჰაიდარაბადის ჰარდებზე

**INDIAN OPEN**

**ჰაიდარაბადი. ჰარდი**

**საპრიზო 140 ათასი $**

**პირველი წრე**

**აკიკო მორიგამი** (იაპონია) — კლარისა ფერნანდესი (1, არგენტინა) 6:2, 6:4; **ტამარინე ტანასუგარნი** (2, ტაილანდი) — იულია ბეიგელციმერი (უკრაინა) 6:4, 4:6, 6:4; **ციფორა ობცილერი** (ისრაელი) — ელენა ლიხოვცევა (3, რუსეთი) 6:2, 6:3; **მარი პირსი** (4, საფრანგეთი) — ჟენ ძი (ჩინეთი) 6:3, 0:6, 6:3; **იროდა ტულიაგანოვა** (6, უზბეკეთი) — კატალინ მაროში (უნგრეთი) 6:3, 6:3

საპრიზოდ დათქმული მცირე თანხის გასაყოფად ჰაიდარაბადში ისედაც თითო-ოროლა სახელიანი მეჩოგნე ჩასულიყო, ხოლო გუშინდლის მერე იმათ მჭლე ამქარსაც პირველ და მესამე ნომრებად განთესილები მოაკლდნენ. კაფანდარა არგენტინელი, შარშანდელი როლან გაროსის მოულოდნელი ნახევარფინალისტი კლარისა ფერნანდესი იაპონელმა აკიკო მორიგამიმ დაიფრინა, ხოლო რუსი ელენა ლიხოვცევა ვინმე ციფორა ობცილერს ემსხვერპლა.

სანაცვლოდ იხეირეს ზეოთხეულის „ლუწმა“ წარმომადგენლებმა — ტაილანდელმა ტანასუგარნმა (2) და ინდოეთში, ვინ იცის, რა რეისით მოხვედრილმა მარი პირსმა (4). ტანასუგარნს კაი ძალი დრო დასჭირდა ვინმე უკრაინელი ბეილციმერის დასაჯაბნად, ავსტრალიისა და საფრანგეთის ღია პირველობათა ოდინდელმა ჩემპიონმა პირსმა კი, ვისაც ხელთ ახლა მსოფლიოში რანგით 49-ე ჩოგანი უპყრია, ასევე სამი სეტი მოანდომა ჩინელი ჟენ ძის ძლევას.

ამ ტურნირს კიდევ თუ მოვუბრუნდებით, ეგ ისევ ამ ამაგდარი კანადოფრანგი ქალის გამო. თუმცა ის ახლა ისეთი ჩადედლებულია, რომ არავინ იცის, გაატანს თუ არა ფინალამდე.



მარი პირსი ინდოეთის მცხუნვარე მზემ მოთენთა

# გაურკვეველი პიტი დაბრუნებას არ ჩქარობს

პიტ სამპრასი კორტს არც სან ხოსეს ტურნირზე დაუბრუნდება. ტურნირი მომავალ კვირაში უნდა გაიმართოს და როგორც მისმა ორგანიზატორმა, ბარი მაკეიმ განაცხადა, 14-გზის მესლემტიტულე ელინოამერიკელმა კვლავაც არ იცის, სურს თუ არა მას კარიერის გაგრძელება.

„პიტი გაურკვევლობაშია — თქვა მაკეიმ — მას ჯერაც არ გადაუწყვეტია, რა და როგორ უნდა გააკეთოს. როგორც ჩანს, დასაბრუნებლად და ჩვეულ დონეზე საჩოგნაოდ ის ახლა არც ფიზიკურად არის მზად და არც მენტალურად. მან სწორედ ასე მითხრა: „მე უბრალოდ მზად არა ვარ.“

ამასვე წერს სამპრასი მისი აგენტების მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაშიც.

მაკეის სჯერა, რომ ადრე თუ გვიან პიტი მაინც დაბრუნდება: „დარწმუნებული ვარ, მას არ მოასვენებს უიმბლდონის მერვედ მოგების სურვილი.“

„ცხადია, მისი არჩამოსვლა დიდი იმედგაცრუებაა, მაგრამ თავს იმით მაინც ვინუგეშებთ, რომ ჩვენთან ანდრე აგასი, ჯეიმს ბლეიკი და ორგზის ჩემპიონი, მარკ ფილიპუსისი ჩამოვლენ.“

შეგახსენებთ, რომ კორტზე სამპრასი მას შემდეგ აღარ გამოჩენილა, რაც სექტემბერში აშშ-ის ღია პირველობა მოიგო.

მის საამსეზონო განრიგში უახლოეს გეგმად სკოტსდეილში, 3 მარტს დასაწყებ ტურნირზე მონაწილეობა სწერია. ნუთუ ფორმის დასაბრუნებლად ეს თვეც არ ეყოფა?!

**ლევან ძელაურაძე**



პისტოლ პიტი ორჭოფობს

# პარადოქსონიკები

*ქრისტესშობამდე 540 წლიდან მოყოლებული ანტიკურ ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებულებს ოლიმპიაში თავიანთი ქანდაკებების დადგმის უფლება ეძლეოდათ. ჩემპიონებს შეეძლოთ თავიანთი ქანდაკებების გამოძერწვა დაეკვეთად იმავე ინვენტართან ერთად, რომელმაც მათ გამარჯვება მოუტანა. მაგალითად, ეს შეიძლებოდა ყოფილიყო ბადრო, შუბი... ოღონდაც, პორტრეტული მსგავსების ქანდაკების აღმართვის უფლება მხოლოდ გამორჩეულ ჩემპიონებს ჰქონდათ, ასეთები კი იყვნენ სამ და მეტგზის გამარჯვებულნი. ასე რომ, ასეთ ჩემპიონებს, რაკილა სხვათაგან გამორჩეულნი არიან, არაჩვეულებრივი ჩემპიონებიც შეიძლება ვუწოდოთ*



მოსხოფორო

**ძველი** ბერძნები გამორჩეულ ჩემპიონებს „პარადოქსონიკებს“ უწოდებდნენ, რაც „არაჩვეულებრივ გამარჯვებულს“ ნიშნავს. არაჩვეულებრივ გამარჯვებულს პარადოქსონიკის ტიტულს მსაჯები საზეიმოდ ანიჭებდნენ, ოღონდაც, ამგვარი პატივის ღირსი მხოლოდ ის ხდებოდა, ვინც ერთ ოლიმპიურ თამაშებში ორ ან მეტ სახეობაში ხდებოდა ტრიუმფატორი.

ისტორიამ და ჟამთასვლამ არაერთი ასეთი ტრიუმფატორის სახელი და ქანდაკებაც შემოგვინახა. ქრისტეშობიდან II საუკუნეში მოღვაწე ანტიკური ოლიმპიური თამაშების მეისტორიე პავსანია გვაუწყებს, რომ ოლიმპიაში რომაელთა ძარცვას გადარჩენილი 230 ასეთი ქანდაკება ვნახეო. ცხადია, იმ პარადოქსონიკ ჩემპიონთა და მრავალგზის ტრიუმფატორ ოლიმპიონიკთა შორის ან რჩეულთა შორის რჩეული ათლეტებიც იყვნენ. ერთ-ერთი ასეთი იყო, მაგალითად, კარიელი მორბენალი პოლიტი. თანამედროვე ტერმინი რომ მოვიმარჯვოთ, იგი სპრინტერიც იყო და სტაიერიც. „გრძელ რბენაში“ ჩემპიონობის მერე ცოტას რომ ისვენებდა, მერე ყველაზე მოკლე დისტანციაზე გამოდიოდა და კვლავ იმარჯვებდა. იმარჯვებდა და იმავე დღეს მესამედაც ხდებოდა ჩემპიონი, უკვე „ორმაგ რბენაში“.

ასეთივე უებრო მორბენალი იყო როდოსელი ლეონიდასი, რომელმაც ოთხ ოლიმპიურ თამაშებში თორმეტი გამარჯვება მოიპოვა.

ანტიკური ოლიმპიური თამაშების ექვსგზის ჩემპიონია კროტონელი მოჭიდავე მილონი, რომელიც 20 წლის განმავლობაში ასპარეზობდა. იმ პერიოდში იგი ბექდაუდებლად გამოდიოდა სხვა ელინურ თამაშებშიც და გახდა თექვსმეტგზის ისთმიური, ცხრაგზის ნემეური და ექვსგზის პანათენური თამაშების ტრიუმფატორი.

ამ გოლიათის არაჩვეულებრივ ძალაზე მოგვითხრობენ ანტიკური ხანის მწერლები და სწავლულები: ლუკიანე, ელიანე, პავსანია და სხვები. ისინი მოგვითხრობენ, მაგალითად, იმას, თუ ჭაბუკობისას მილონმა ხელში ატაცებული ხბო როგორ შემოატარა მთელი მშობლიური ქალაქი. მოგვითხრობენ იმასაც, თუ თანატოლთა შორის როგორ გაიმარჯვა 536 წლის ოლიმპიურ თამაშებში. არც იმას ივიწყებენ, რომ უკვე დავაჟკაცებულმა მილონმა მხრებზე შემოგდებული ოთხი წლის ხარით მთელი სტადიონი შემოირბინა.

მსგავსი რამ კიდევ რამდენიმე კაცს გაუკეთებია და ამ თემამ უცნობი მოქანდაკის შემოქმედებაშიც ჰპოვა ასახვა, როცა „მოსხოფორო“ („ხბოიანი კაცი“) გამოძერწა, თუმცა, სხვები მილონივით მრავალგზის ოლიმპიური ჩემპიონები არ ყოფილან და არც მასავით გამორჩეულან საგმირო საქმეებით. ამიტომაც მილონი ლეგენდარული პიროვნება გახდა და მას ზღაპრულ ამბებსაც მიაწერენ.

ისტორიკოსი და გეოგრაფი სტრაბონი წერს, რომ მილონი პითაგორას ერთ-ერთი მოსწავლეთაგანი იყო. ერთხელ, მეცადინეობისას მილონმა შემთხვევით... შენობის სვეტი წააქცია. ჭერი და კედლები თავზე რომ არ დამხობოდათ, მილონი იმ სვეტის ნაცვლად აღიმართა და თავისი ვეება მხრებით იმდენხანს ეკავა ჭერი, იქიდან ყველამ მშვიდობიანად მოასწრო გამოსვლა. მერე იყო და მილონის მშობლიური ქალაქისა და სიბარისელთა ომში ეს გოლიათი მხედართმთავრად აირჩიეს. თუმცა, იგი უჯაროდ, ქუდადაც ილად ამარცხებდა მოწინააღმდეგეთ, როცა ჰერაკლესავით ლომის ტყავში შემოსილი მათ თავზე ვეება კომბალს ატრიალებდა.

ლეგენდის თანახმად, მილონზე ძლიერი მწყემსი ტიტორი იყო. იგი ორ ვეება ხარს უკანა ფეხებით იჭერდა და ადგილზე აჰკავებდა. თუმცა, ერთხელ ერთი ხარი მაინც დაუსხლტა, ოღონდ მწყემსს ხელთ შერჩა... მისი ჩლიქები, ერთ მშვენიერ დღეს კი ამ მწყემსმა, მილონის თანდასწრებით, წყლიდან ვეება ლოდი ამოიტანა. მილონმა ის ლოდი გაჭირვებით დაძრა ადგილიდან. ელიანე მოგვითხრობს, რომ ამის შემხედვარე მილონს აღმოხდა, ო, ზევსო, შენ ჩვენ ახალი ჰერაკლე მოგვივლინეო და ექვსგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა პირველად სცნო თავი დამარცხებულად.

სამწუხაროდ, მილონი ტრაგიკულად და საშინელი სიკვდილით აღესრულა. ასაკში შესული ტყეში წავიდა, რათა მოხუცი დედისთვის შეშა მოეტანა. თავისი ძალის შესაფერის ვეება მორს შეეჭიდა და შიგ პალოები ჩაასო, მერე ნაპრალში თითები ჩაყო და მორის ხელებით გახლეჩა სცადა. გათავისუფლებული პალოები როგორღაც ნაპრალიდან ამოცვივდა, მორმა პირი შეიკრა, მილონის თითები შიგ მჭიდროდ მოიქცია და ეს ხარზე ძლიერი კაცი დაატყვევა. რამდენიმე დღის მერე მშიერ-მწყურვალი და ღონემიხდილი მხეცების მსხვერპლი შეიქნა.

უჩვეულო ძალის პატრონი გახლდათ ფასოსელი ფეაგენი, რომელიც პარადოქსონიკის ტიტულის მფლობელი იყო. კრივსა და პანკრატიონში მრავალგზის გამარჯვებისთვის ოლიმპიაში პორტრეტული მსგავსების ქანდაკების დადგმის უფლება მოიპოვა. ამას გარდა, სამჯერ გაიმარჯვა დელფოსურ თამაშებში, ცხრაჯერ ნემეური, ათჯერ კი ისთმიური თამაშების ჩემპიონი გახდა. მხოლოდ ყველაზე პოპულარულ სხვადასხვა ელინურ თამაშებში, საერთო ჯამში, მან 1400 გვირგვინი დაიდგა თავზე. ეს ნიშნავს, რომ მას წელიწადში საშუალოდ სულ ცოტა 40 შეჯიბრებაში უნდა ეცადა ძალა, რაც იმ დროსთვის სავსებით შესაძლებელი იყო. აქედან გამომდინარე, ფეაგენი მთელი 30 წლის განმავლობაში იმკიდა გამარჯვებებს.

მუშტებით მებრძოლმა ფეაგენმა პირველად ქურდობით გაითქვა სახელი. მაშინ, 9 წლის ფეაგენს ბაზრის მოედანზე აღმართული ბრინჯაოს ქანდაკება მოეწონა. ღამით მიადგა იმ ქანდაკებას, ზურგზე მოიკიდა და შინ წაიღო. მერე ქანდაკება თავის ადგილზე დააბრუნებინეს, ფეაგენის უჩვეულო ძალაზე კი არა მხოლოდ მისი მშობლიური, არამედ მთელი საბერძნეთის ქალაქები ალაპარაკდნენ და დიდი მომავალიც უწინასწარმეტყველეს. მანაც გაამართლა იმედები. გაამართლა და საკუთარი პორტრეტული მსგავსების ქანდაკებაც დაიდგა. როგორც ოლიმპიონიკმა, უფლება მიიღო საკუთარი ქანდაკებისთვის მსხვერპლი შეეწირა, გარდაცვალების მერე კი მის ქანდაკებას ალმერთებდნენ. თუმცა, გადმოცემის თანახმად, ყველა ასე როდი იქცეოდა, რადგან ფეაგენს სიცოცხლეში მტრები მოუგროვდა. ერთ-ერთმა მათგანმა, რაკი ცოცხალთან ვერას გახდა, გადაწყვიტა მკვდარზე ეძია შური, უფრო სწორედ, მის ბრინჯაოს ქანდაკებაზე, რომელსაც ყოველღამ ამათრახებდა, ის კი ავიწყდებოდა, რომ ოლიმპიონიკის ქანდაკება ღვთაების რანგში იყო. ჰოდა, ღვთაება რაღა ღვთაება იქნებოდა, თუ შეურაცხმყოფელს, ბოლოს და ბოლოს, არ დასჯიდა. და დასაჯა კიდეც, როცა გამათრახებას ველარ გაუძლო, წაიქცა, მისი შეურაცხმყოფელი ქეშ მოიქცია და სული განატევებინა.

მაგრამ ფეაგენის ქანდაკებასთან დაკავშირებული უცნაურობანი ამით არ გასრულებულა. იმხანად საბერძნეთში იყო ერთი ასეთი კანონი, რომლის ძალითაც ნებისმიერი საგანი, რომელიც გადმოვარდნის შემთხვევაში კაცს იმსხვერპლებდა, ქალაქის ფარგლებში აღარ უნდა დაეტოვებინათ და ასეც მოიქცნენ. ფეაგენის ქანდაკება ზღვაში მოისროლეს და ჩაძირეს. მაგრამ იმავე წელს კუნძულელებს თავს უბედურება დაატყდათ — გვალვა, მოუსავლიანობა, შიმშილი, სიკვდილიანობა... ქურუმებმა ეს ამბავი რომ განსაჯეს, დაასკვნეს, ჩვენი უბედურების მიზეზი გმირის ქანდაკების შებილწვააო. ამით შეძრწუნებულმა ფასოსელებმა ზღვის ფსკერზე ბადე ჩაუშვეს, ფეაგენის ქანდაკება ამოიტანეს, თავის ადგილზე დააბრუნეს და კვლავ კვარცხლბეკზე აღმართეს. ამასთან, ფეაგენი მიწათმოქმედებმა თავიანთ მფარველად შერაცხეს. თანაც, ხალხს სჯეროდა, რომ ფეაგენის ქანდაკება მათ ავადმყოფობისგან კურნავდა.

პარადოქსონიკებზე რომ ვსაუბრობთ, ისიც უნდა ვთქვათ, რომ „არაჩვეულებრივ გამარჯვებულთა“ შორის სხვებიც იყვნენ, რომლებიც პანკრატიონისტობას და მოჭიდავეობას ითავსებდნენ. არადა, ამ ორ სახეობაში შეჯიბრებები ერთსა და იმავე დღეს ტარდებოდა. და მაინც, ზოგიერთი ათლეტი ორივეგან ახერხებდა გამოსვლას. სამწუხაროდ, ბრძოლის აზარტში შესული პანკრატიონისტები მოჭიდავეთა ტურნირში გამოსვლისას ივიწყებდნენ ამ სახეობის წესებს და თავიანთ ილეთებს მიმართავდნენ, რაც სავალალოდ თავდებოდა. ამიტომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე III საუკუნიდან ათლეტებს ორივე სახეობაში გამოსვლა აუკრძალეს. ამასთან დაკავშირებით მემატიანენი მოგვითხრობენ პანკრატიონისტ არახიონის საბედისწერო თავგადასავალს, რომელიც სიკვდილის მერე გამოაცხადეს ჩემპიონად.

მაშინ არახიონი მოჭიდავეთა ტურნირის ფინალში რომ იბრძოდა, მისმა მეტოქემ ამ სახეობისთვის აკრძალულ ილეთს მიმართა, არახიონს ყელში სწვდა და ახრჩობდა. ბოლოს არახიონი იძულებული გახდა უკანასკნელი ძალ-ღონე მოეკრიბა და უღირსი მეტოქისთვის ყელზე შემოჭდობილი თითები მოეტეხა. არახიონის მეტოქემ ტკივილს ვეღარ გაუძლო, თავი დამარცხებულად აღიარა და ბრძოლის გაგრძელებაზე უარი თქვა, თავად არახიონმა კი სული განუტევა. შეცბუნებულმა ელანოდიკებმა (მსაჯებმა) აღარ იცოდნენ, გამარჯვებულად რომელი ეღიარებინათ. ბოლოს, ბევრი იმსჯელეს თუ ცოტა, ჩემპიონად მკვდარი არახიონი გამოაცხადეს.

ისეთი შემთხვევებიც ყოფილა, რომ ზოგი ათლეტი პარადოქსონიკი მართლაც პარადოქსულად გამხდარა. მაგალითად, პანკრატიონში საასპარეზოდ ზოგჯერ ერთადერთი ათლეტი გამოდიოდა. ასეთ შემთხვევაში მასზე ამბობდნენ. „ისე გაიმარჯვა, ხელიც არ გაუსვრიაო“. ასე გაუსვრელად გამარჯვება დიდად ფასობდა როგორც პანკრატიონისტთა, ისე მოჭიდავეთა და მოკრივეთა ტურნირებში, ოღონდაც იმ შემთხვევაში, თუ ერთი ათლეტი მეორესთან შებმას ვერ გაბედავდა და არა მაშინ, როცა ასპარეზობაში ერთადერთი მონაწილე იყო. ასეთი ერთადერთი მონაწილე ზოგჯერ სწორედ პანკრატიონს ჰყავდა, რაკილა ეს სახეობა ძალზე უხეშ, მკაცრ და დაუნდობელ დისციპლინად ითვლებოდა. რომაელ ექიმ გალენს ამანაც ათქმევინა მოსწრებულად: „პანკრატიონში გამარჯვების ღირსი ყველაზე მეტად ვირი არის, რომელსაც უფრო ძლიერად ეხერხება წიხლის კვრაო“.

მიუხედავად იმისა, რომ პანკრატიონი მეტად დაუნდობელ ბრძოლად ითვლებოდა, მასში უფროსთა შეჯიბრებაში გამოსვლის უფლება, ისე როგორც კრივში და ჭიდაობაში, ახალგაზრდებსა და ჭაბუკებსაც ჰქონდათ. ამასთან დაკავშირებით პავსანია მოგვითხრობს:

„ისე მოხდა, რომ არტემიდორმა, რომელიც ოლიმპიურ შეჯიბრებაში ბიჭებს შორის პანკრატიონისტთა ასპარეზობაში გამოდიოდა, მარცხი იწვნია. ამის მიზეზი მისი მეტისმეტად პატარა ასაკი იყო. მერე, როცა იონიელთა შეჯიბრების დრო მოვიდა, არტემიდორის კუნთები იმდენად მომძლავრდა, რომ პანკრატიონისტთა ასპარეზობაში, ერთსა და იმავე დღეს, მან დაამარცხა ჯერ თავისი ოლიმპიელი მეტოქენი, მერე ის ჭაბუკები, რომლებსაც უწვერულვაშოებს უწოდებენ, ბოლოს კი დიდებზე მესამე გამარჯვებაც მოიპოვა, რაც მისთვის ყველაზე სახელოვანი იყო“.

ასე რომ, არტემიდორიც თავისებური პარადოქსონიკია.

**ავთანდილ გურასაშვილი**



მოკრივის ქანდაკება (ბრინჯაო. ჩვ. წ. აღ-მდე I ს)



მოკრივეები (სანტორინის ფრესკა)

რეგულარული ჩემპიონატი

# დეტროიტი სახნავ რქმეზს მქმეზს

4 თებერვალი

**პიტსბურგი 2:3 ვანკუვერი 0:2 1:1 1:0**

**0:1 ჰ. სედინი (8), 0:2 კუკი (10), 0:3 ლინდგრენი (22), 1:3 კოვალიოვი (26), 2:3 კოვალიოვი (50)**

რა დღეში უნდა იყოს გუნდი, რომ თავისი საუკეთესო მოთამაშის გაყიდვას ასე ესწრაფოდეს. დღეს პიტსბურგს ისეთი ფინანსური გასაჭირი ადგას, რომ მარიო ლემიეს მარჯვენა ხელს, ალექსეი კოვალიოვს ნამდვილად ველარ შეინახავს. მართალია, რუსს კონტრაქტი ზაფხულში უმთავრდება, მაგრამ გუნდის ბოსები უკვე ცდილობენ, იგი გაცვალონ, რათა სოლიდური კომპენსაცია მიიღონ. ამასობაში კი კოვალიოვი ფაქტობრივად მარტოდმარტო მიათრევს გუნდს, ვინაიდან ლემიემ ბოლო 10 მატჩი გამოტოვა. მართალია, სუპერმარიომ ამჯერად ითამაშა და პასიც მიითვალა, მაგრამ აშკარად ფრთხილად ირჯებოდა. ასე რომ, კვლავ კოვალიოვის ორმა გოლმა შეუნარჩუნა თამაშს ინტრიგა. ისე პიტსბურგმა მაინც წააგო. საინტერესოა, რომ რუსი, მისივე თქმით, სულ არ ფიქრობს მოსალოდნელ გაცვლაზე და სანამ პიტსბურგშია, ცდილობს გუნდი მაქსიმალურად ასარგებლოს. ლემიემ კი განაცხადა, ჩვენი გუნდის მძიმე ყოფამ უპირველესად ლიგის მამები უნდა ჩააფიქროსო.

**ტამპა 1:5 ვაშინგტონი 0:1 1:4 0:0**

**0:1 იაგრი (8), 0:2 იაგრი (24), 0:3 იაგრი (28), 0:4 ბონდრა (29), 0:5 გრირი (34), 1:5 მოდინი (38)**

ერთნახევარი წლის წინ პიტსბურგიდან ვაშინგტონში გადაბარებული იაროmირ იაგრი თანდათან იბრუნებს იმ მრისხანებას, რაც მის „პინგვინურ“ კარიერას ასე აელვარებდა. „ოლ სტარზე“ იაგრი დანი ჰიტლისთან ერთად თამაშობდა სამეულში და ეტყობა, ახალგაზრდა პარტნიორის ენთუზიაზმი გადაედო. 30-ს გადაცილებული ჩეხი ტამპასთან ახალგაზრდული ჟინით იბრძოდა და თავისი ბრწყინვალე თამაშისა და ჰეთ თრიქის წყალობით 500-შაიბიან ზღვარს უწია, რაშიც, ევროპელ მოთამაშეთაგან მეორეა.

„ცხადია, მიხარია, რომ ძველ ფორმას ვიბრუნებ და ასე სწრაფად გავიტანე მე-500 გოლი, მაგრამ გუნდის წინსვლა უფრო მნიშვნელოვანია“ — თქვა იაგრმა მატჩის შემდეგ.



ნემილელებმა საცოდავი დეტროიტელი კრის დრეიპერი დაიმარტოხელეს

**ბოსტონი 2:3 კოლორადო 0:2 1:0 1:0 0:1**

**0:1 პარკერი (3), 0:2 ფორსბერგი (17), 1:2 გილი (29), 2:2 ნაბლი (57), 2:3 დე ვრიზი (65)**

ზედიზედ მეორე მატჩია, კოლორადოს მცველ გრეგ დე ვრიზს ოვერტაიმში გააქვს. ახლაც მისი გუნდის ლიდერმა პეტერ ფორსბერგმა მეტოქეები ისე გააბითურა, რომ მისი ზუსტი პასის შემდეგ დე ვრიზს შეცდომის უფლება აღარ ჰქონდა.

**აილენდერსი 1:2 ფილადელფია 1:1 0:0 0:1**

**0:1 რენიკე (5), 1:1 პამრლიკი (8), 1:2 რეკი (51)**

**დეტროიტი 5:5 ნეშვილი 4:2 1:1 0:2 0:0**

**1:0 ზეტერბერგი (2), 2:0 დრეიპერი (3), 2:1 იტონი (8), 3:1 შენაჰანი (14), 3:2 ტიმონენი (17), 4:2 რობიტაილი (20), 5:2 დაციუკი (22), 5:3 ლეგვანდი (32), 5:4 ტიმონენი (53), 5:5 არხიპოვი (57)**

ცუდ დღეშია დეტროიტის დაცვა. სად გაგონილა, ჩემპიონმა სამშაიბიანი უპირატესობა ვერ შეინარჩუნოს. ხმები დადის, გუნდის ბოსები ღამეებს ათევენ, რომ დაცვის გასაძლიერებლად რაიმე ილონონო. თურმე დასახმარებლად გერი სუტერსა და რეი ბურკსაც კი მიმართეს, არადა ამათმა კარიერა უკვე დაასრულეს.

**მონრეალი 3:4 ატლანტა 1:1 1:2 1:1**

**0:1 ტეპერი (6), 1:1 დაკელი (6), 1:2 სავარი (24), 1:3 კოუენი (26), 2:3 ბულისი (39), 3:3 სუნდსტრიომი (47), 3:4 სავარი (59)**

ატლანტის ლიდერ და „ოლ სტარის“ გმირ დანი ჰიტლს ამჯერად არ გაუტანია, მაგრამ მისი ფანტასტიკური ფინტის და კარგი პასის წყალობით თავისი პირველი შაიბა მარკ სავარმა შეაგდო. ერთბაშად სამი მეტოქის გარემოცვაში მოქცეული ჰიტლი საკუ კოივუს იოლად გასცდა, მერე კი ბოლომდე იბრძოლა, რომ შაიბა სავარს მიეღო.

**ნიუ ჯერსი 4:1 ბუფალო 1:0 3:1 0:0**

**1:0 ელიაში (2), 2:0 ნუინდაიკი (27), 3:0 ალბელინი (35), 0:4 ნუინდაიკი (36), 1:4 ბრაუნი (40)**

**კალგარი 2:3 ანაჰაიმი 1:2 0:0 1:1**

**0:1 ჩისტოვი (7), 0:2 ლეკლერკი (8), 1:2 ნიდერმაიერი (14), 2:2 ნიდერმაიერი (49), 2:3 ოზოლინში (51)**

სანდის ოზოლინშმა თავის პირველივე ანაჰაიმურ თამაშში გადამწყვეტი გოლი გაიტანა.

**სამველ ღარიბიანი**

## რაღა დროს შენი მანქანაა?

**ამ დღეებში** ორი მოთამაშე ავარიაში მოხვდა. კოლორადოელი დან ჰაინოტი იოლად გადარჩა და საინფორმაციო წყაროები მის შესახებ ბევრს არაფერს იტყობინებიან. აი, ფინიქსელ ოსი ვაახანენს კი ხმაურიანი ამბავი გადახდა. „ოლ სტარზე“ ახალგაზრდა ვარსკვლავების მატჩში მონაწილეობის შემდეგ 22 წლის ფინელი თავის თანამემამულე ჟურნალისტებთან ერთად ტაქსით გაემგზავრა. მანქანიდან რომ გადმოდიოდნენ, მაშინ დაეჯახათ ავტომობილი, რომელსაც 90(!) წლის მოხუცი მართავდა — ბერიკაცმა საჭე ვერ დაიმორჩილა. თავად ვაახანენი მსუბუქად დაშავდა, თუმც თვენახევარს მაინც გამოტოვებს, რადგან მუხლი იტკინა. მისი მგზავრები უფრო მძიმე მდგომარეობაში არიან. მავან ვესა რანტანენს, ფინეთში ცნობილ ჟურნალისტს, ხელის დაკარგვა ემუქრება, ხოლო ტელეწამყვან კიმო რომანოვს ფილტვები დაუზიანდა.

## ელიზაბეტ ტეილორსაც მოხვდა

**შარშან, მარტში,** კოლუმბუსში დატრიალებული ტრაგედია ძნელი დასავიწყებელია. მაშინ ბორტს იქით გადაფრენილმა შაიბამ 13 წლის გოგონა ბრიტანი სესილი იმსხვერპლა. ამის შემდეგ ლიგამ ზომები მიიღო. მადლობა ღმერთს, დამცავი ბადეების დაყენების შემდეგ სერიოზული ინციდენტი აღარ მომხდარა, მაგრამ გუშინ ორმა ქალბატონმა მიმართა საჩივრით დეტროიტს, კლუბის მფლობელებს და ლიგას.

52 წლის ელიზაბეტ ტეილორი და 32 წლის სანდრა ქუიქი თურმე მანამდე დაშავდნენ, სანამ სტადიონზე ბადეებს დააყენებდნენ და ახლა სურთ კომპენსაციის მიღება. ქუიქს თურმე 2002 წლის 20 მაისს დეტროიტისა და კოლორადოს შეხვედრისას ჩაუმსხვრია შაიბამ სამი კბილი, ოთხიც დაუზიანა, ტეილორი კი ჩივის, 2001 წლის 16 მარტს ისეთი რამ შემემთხვა, პლასტიკური ოპერაციის გაკეთება დამჭირდაო. ცხადია, გუნდის ბოსები არ ჩქარობენ. მათი თქმით, ჯერ ძველი ფირები უნდა მოინახონ, გაანალიზონ და მომჩივარები პასუხს მერე მიიღებენ.

ავტორბოლა

## უილიამსი

გუნდი დაარსდა 1968 წელს
ფორმულა 1-ში ასპარეზობს 1972 წლიდან
455 რბოლა; 108 მოგება; 119 პოული;
121 უსწრაფესი წრე; 2203,5 ქულა
ჩემპიონის ტიტული — 7
კონსტრუქტორთა თასი — 9
2002 წელს დაიკავა მეორე ადგილი (92 ქულა)
**აღმასრულებელი დირექტორი:** სერ ფრენკ უილიამსი
**ტექნიკური დირექტორი:** პატრიკ ჰედი
**„BMW მოტორსპორტის“ თანადირექტორი:** გერჰარდ ბერგერი
**ბოლიდი:** „უილიამს HW25“
**ძრავა:** BMW P83 — V10
**საბურავები:** „მიშლენ პილოტი“
ტესტ პილოტი: მარკ ჟენე (ესპანეთი)



**ხუან პაბლო მონტოია**

**კოლუმბია**
დაიბადა 1975 წლის 20 სექტემბერს ბოგოტაში.
ცხოვრობს მონტე კარლოში
ცოლიანი
სიმაღლე 168 სმ; წონა 72 კგ
დებიუტი ფორმულა 1-ში: ავსტრალიის დიდი პრიზი (2001)
პირველი გამარჯვება: იტალიის დიდი პრიზი (2001)
34 რბოლა; 1 მოგება; 10 პოული;
81 ქულა
ჩემპიონატში საუკეთესო შედეგი: მესამე ადგილი (2002)
„უილიამსშია“ 2001 წლიდან



**რალფ შუმახერი**

**გერმანია**
დაიბადა 1975 წლის 30 ივნისს ჰურტ-ჰერმოლცჰაიმში
ცხოვრობს ზალცბურგში (ავსტრია)
ცოლშვილიანი
სიმაღლე 178; წონა 73 კგ
დებიუტი ფორმულა 1-ში: ავსტრალიის დიდი პრიზი (1997)
პირველი გამარჯვება: სან მარინოს დიდი პრიზი (2001)
100 რბოლა; 4 მოგება; 1 პოული;
5 უსწრაფესი წრე; 177 ქულა
ჩემპიონატში საუკეთესო შედეგი: მეოთხე ადგილი (2001, 2002)
ასპარეზობდა „ჯორდანში“ (1997-98)
„უილიამსშია“ 1999 წლიდან

# პრეზენტაცია: გვაქვს პრეტენზია!

## რალფ შუმახერმა ძმის ბოლიდი გაიხსენა და ამოიოხრა, ჩემს ახალს იმის ძველიც სჯობსო

FIA FORMULA 1

**ახალი შასი,** მიუნხენში დამზადებული შარშანდელზე ბევრად მძლავრი ძრავი, მიშელინის ზესაიმედო საბურავები, სრულიად ახალი აეროდინამიკური მაჩვენებები და წარმატების უზარმაზარი მოლოდინი — „უილიამსმა“ ბარსელონაში ახალი ბოლიდის პრეზენტაცია მოაწყო. ამას დავუმატოთ პილოტთა საკმაო გამოცდილება, ჯამში ხუთი მოგებული გრანპრი და სავსებით გასაგები ხდება სერ ფრენკ უილიამსის სურვილი: „ახალი სეზონისთვის კარგად მოვემზადეთ და ჩემპიონობას ვუმიზნებთ. ჩვენ ახალი შასი გვაქვს, რომლის შექმნისას სრულად ახლებური მიდგომა გამოვიყენეთ. BMW-ს ახალი ძრავი უფრო მძლავრია. ხუან პაბლო მონტოიას და რალფ შუმახერს უკვე აქვთ მოგებული ეტაპები. მათი გამოცდილება და მთლიანად გუნდის პროფესიონალიზმი წარმატებაზე ფიქრის საფუძველს გვაძლევს.“

მარიო ტეისენმა, BMW-ს თანადირექტორმა მის ნათქვამს დასძინა: „მიუნხენში, ჰაინც პაშენის ხელმძღვანელობით, ახალი ძრავი დავამზადეთ. მუშაობა ერთი მიმართულებით წარვმართეთ — ეს ძრავა ყველაზე მძლავრი უნდა ყოფილიყო და ვფიქრობ, მიზანს მივაღწიეთ, გამოცდამაც წარმატებით ჩაიარა.“

მაგრამ მოგეხსენებათ, პრეზენტაციაზე მხოლოდ კარგს ლაპარაკობენ, რეალობა კი შესაძლოა, ცოტათი განსხვავებული იყოს. ორშაბათის ტესტისას, მონტოიას ბოლიდი რვა წრის შემდეგ გამოჩნდა, ელექტრონულმა სისტემებმა უმტყუნა. კოლუმბიელმა პილოტმა რბოლა შარშანდელ, FW24 მოდელის ბოლიდზე განაგრძო, ახალი კი ბოქსში შეაგორეს, შეაკეთეს, მაგრამ მეორე დღესაც იგივე განმეორდა.

რალფ შუმახერის ბოლიდს არაფერი დამართნია, ორშაბათსაც და გუშინწინაც დაგეგმილი 62 წრე უპრობლემოდ გაიარა, ოღონდ ეგაა, ბოლიდიდან გადმოსულს კმაყოფილება არ ეტყობოდა. „FW25 აშკარად სჯობს წინა მოდელს, მომდევნო ორ კვირაში რაღაცეებს კიდევ დავხვეწთ, მაგრამ „ფერარის“ დამარცხების შანსი მაინც არ გაგვაჩნია. მეტიც, ჩვენი ახალი ბოლიდი „ფერარის“ შარშანდელ F2002-საც ჩამოუვარდება, არადა, მათ წელს უკეთესი ბოლიდი ექნებათ“ — დაიჩივლა „ფერარით“ მოჯირითე დიდი მსოფლიოს ჩემპიონის უმცროსმა ძმამ.

**ქეთი ძძელია**



ახალი ბოლიდი ნაწილობრივ თუ აკმაყოფილებს პაბლო მონტოიასა და რალფ შუმახერის ამბიციებს



REUTERS

# ბიჭები

პატარა ბიჭი, ისლამ ალ-საბაჰი ფეხბურთს თამაშობდა ჯაბალიასა და ბეით ჰანუნს შორის. ის ყველაზე მძიმედ დაიჭრა თავის ამხანაგებს შორის, როცა ისრაელი ჯარისკაცები და ნაირგვარი საფეთქებლებით შეიარაღებული პალესტინელები ერთმანეთს შეებრძოლენ, ისრაელთა ტანკებიდან ნასროლი ჭურვები კი სწორედ იმ ადგილას დაეცა, სადაც ბიჭები ბურთაობდნენ. შვიდი მოთამაშე დაიჭრა.

სხვა პატარა ბიჭს კი, სამხრეთ აფრიკის პორტ ელიზაბეთში მაინც უპოვნია ადგილი, საიდანაც თავისი საყვარელი თამაშის, კრიკეტის მატჩს უცქერს. სამხრეთში სამსოფლიოთასოდ მყოფი ინგლისის ნაკრები ამხანაგურ-სავარჯიშოდ ეთამაშება აღმოსავლეთის პროვინციის გუნდს.

აი, ხელობაც და მესამე ბიჭიც. ინდოეთის ქალაქ ბანგალორში, რაჯასტანის შტატში რომ ძევს, დედა კრიკეტის ტაფელებს ღებავს, შვილი კი, რა თქმა უნდა, ინდოთა გუნდის თავგადაკლული გულშემატკივარია. ცხრა თებერვალს შორეულ აფრიკაში კრიკეტის მსოფლიო თასის გათამაშება იწყება.

სევდის, ტკივილის და იმედის მომგვრელი სურათებია.



REUTERS



REUTERS



REUTERS

# ტალახიანი და გემრიელი

ამ ბიჭს, ფრანგ ველოსიპედისტ სტივ შანელს შეჯიბრი არ მოუგია, მაგრამ ალალად დაძლია გზატკეცილი და საყვარელ გოგოსაც ეტაკა. შეჯიბრი იტალიურ ქალაქ მონაპოლიში იყო და იქაურმავე ენრიკო ფრანცონიმ მოიგო.




REUTERS

# სამშობლოში დონთან ერთად

ნიკარაგუაში დიდი ზარ-ზეიმით დაბრუნდა კრივის მსოფლიო ჩემპიონი რიკარდო მაიორგა. მშობლიურ მანაგუაში მან პრომოუტერი დონ კინგიც ჩაიყვანა, ვისაც დიდად უმადლის, რომ საჩემპიონო ბრძოლა არგუნა ბედმა. ცხადია, დონსაც შეუფერებია ეს ამბავი.



REUTERS

# ვერცხლი

ნოზომი ვატანაბე და აკიუკი კიდო (ბიჭი) დიდის გაქანებით ცეკვავდნენ აზიის ზამთრის თამაშებზე, მათ მშობლიურ იაპონიაში რომ მიმდინარეობს. წყვილმა ვერცხლის მედალი დაიმსახურა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი კაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგიჩაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დეკანოიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge